პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 77 (11891)

კვირა, 2 აპრილი, 1961 წ.

ფასი 2 კაპ.

## კომუნისტის ღირსების საქმე

საბჭოთა მიწაზე ამაყად მოაბიჯებს შვიდწლედის მესამე წელი. ყველგან, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში დიდი შემოქმედებითი შრომის სიხარულია. ამ საერთო ფერხულში თავდადებით შრომობენ საქართველოს მშრომელები. პრაქტიკულად ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ემზადებიან რა სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების შესახვედრად, ისინი წუთს არ კარგავენ, რათა სიტყვა საქმედ აქციონ, რათა შრომის ახალი ბარაქით შეეგებონ თავიანთ ეროვნულ ზეიმს.

გაზაფხული ძალაში შევიდა. ახლა, როცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს ხელთა აქვთ მუშაობის კონკრეტული, ნათელი პროგრამა, როცა ნაკისრია ვალდებულებები და გამოინახა რეზერვები ამ ვალდებულებათა განაღდებისათვის, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ მოვაწყობთ შრომას, როგორ გამოვიყენებთ დროსა და რეზერვებს.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი აკისრიათ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, რომელთა მუშაობას უნარიანად წარმართავენ პარტიის რაიონული კომიტეტები.

ყურადღების ღირსია თეთრი წყაროს რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება, რომელიც მიმართულია ერთი მთავარი მიზნისაკენ — ამაღლდეს თვითეული ადამიანის შემოქმედებითი აქტივობა თავის შრომით უბანზე. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლის მუდმივ შემოქმედებით ძიებაში არიან, უნარიანად იყენებენ თვალსაჩინო აგიტაციის ყოველგვარ საშუალებებს, აწყობენ მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას.

მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის გაშლილ ბრძოლას ენერგიულად ჩაუდგა სათავეში ახალციხის რაიონის დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ი. ხითარიშვილი). აქ ნიადაგი დროულად მოხნეს მზრალად და სათანადოდ დაამუშავეს, ხარისხიანად შეაკეთეს ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, მოიმარაგეს მაღალი ხარისხის თესლი. კოლმეურნეები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ გაზაფხულს. წარმატებით იმუშავეს ხეხილის ბაღებშიც.

სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის, გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის, წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობების წარმატებანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველა საქმეში ჩანს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მზრუნველი ხელი, რომ ისინი შეურიგებლობას იჩენენ ნაკლოვანებებისადმი.

მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ზოგან ჯერ კიდევ არ იგრძნობა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მთელი სიკეთე. ზოგიერთი პარტიული მუშაკი ასე ფიქრობს: პარტიული კრება ჩავატარეთ, აგიტატორები ბრიგადებსა და რგოლებზე მივამაგრეთ, კედლის გაზეთიც გამოვუშვით და ამით ჩვენი ვალი მოვიხადეთო. ზოგჯერ კი ასეთ ფაქტებსაც ვხვდებით.

ამ რამდენიმე დღის წინათ შემოწმებით გამოირკვა, რომ წყალტუბოს რაიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი მ. ჯიქიძე) სულ არ გახსენებიათ პარტიულ კრებაზე განეხილათ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი. ამ კოლმეურნეობაში აგიტატორებიც დუმან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს კოლმეურნეობამ გაზრდილი ვალდებულებები იკისრა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

ნაკისრ ვალდებულებებზე ბევრს ლაპარაკობენ ახმეტის, დუშეთის, ლენინგორის რაიონებშიც. მაგრამ რა მდგომარეობაა ამ მხრივ მთელ რიგ კოლმეურნეობებში? — ჭერჭერობით სავალალო. ბევრ კოლმეურნეობაში დიდი რაოდენობით დაიხოცა პირუტყვი, გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა ძროხების წველადობა, ზოგან კი ადგილი აქვს სიყალბეს, თვალთმაქცობას, სხვადასხვა უმსგავსობებს.

სად არიან ამ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები? რა ღონისძიებები განახორციელეს პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, ამ შეუწყნარებელი ფაქტების აღსაკვეთად თვითეული კომუნისტის დარაზმვისათვის?

პასუხი ერთია — ცუდად, არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს!

პარტიის სასოფლო რაიკომების ამოცანა ის არის, რომ განუხრელად ამაღლებდნენ თვითეული პარტორგანიზაციის როლსა და ავტორიტეტს, უწევდნენ მათ კონკრეტულ დახმარებას შინაპარტიული და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რაც მიმართული უნდა იყოს სოფლის მშრომელთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით განაღდებისაკენ.

ვალდებულება — ეს არის მშრომელთა მზადყოფნა მიაღწიონ ახალ გამარჯვებებს კომუნისტურ მშენებლობაში, რის შემდეგ იწყება დაძაბული და ენერგიული ბრძოლა ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის. პარტიული ორგანიზაციები, თვითეული კომუნისტი მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, თავის დროზე შენიშნონ, გაავრცელონ და დანერგონ ყოველი ძვირფასი წამოწყება, გამოააშკარაონ ნაკლოვანებები და მიაღწიონ მათს გამოსწორებას. საჭიროა ახლავე დავაწესოთ საზოგადოებრივი კონტროლი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა ყოველ პუნქტზე.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა კასპის რაიონის პარტიული აქტივის თათბირის მასალები. კასპის რაიონის პარტიულმა მუშაკებმა, პროპაგანდისტებმა, აგიტატორებმა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, თუ როგორ მოაწყეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მინდვრად, მეცხოველეობის ფერმებში, იქ, სადაც წყდება მომავალი წლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის ბედი და მოილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ მოაწყობენ შემდგომში მუშაობას, რათა უფრო აქტიურად ჩააბან მშრომელები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა შემოქმედებითი საქმეა. საჭიროა გავავრცელოთ ყოველივე ახალი, რაც კი ამ მხრივ გამოჩნდება.

ამ დღეებში ლანჩხუთის რაიონული პარტიული აქტივის თათბირზე, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მოაწყო საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომთან ერთად, მთელი ყურადღება გამახვილდა იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც სასოფლო პირველადი პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგას ამ მეტად პასუხსაგებ მომენტში.

— ჩვენ, — აღნიშნავდნენ ამ თათბირის მონაწილენი, — არა გვაქვს უფლება და არც შეიძლება ვიყოთ ამ დიდი, საყოველთაო-სახალხო შრომის უბრალო მეთვალყურენი. კომუნისტური პარტია, ჩვენგან, თავისი აქტიური მებრძოლებისაგან, მოითხოვს მუდამ ვიყოთ მასების სათავეში, არ შევურიგდეთ ნაკლოვანებებს და დროულად მოვიცილოთ ისინი თავიდან, მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ისე წარვმართოთ, რომ ყველა კომუნისტს ჰქონდეს თავისი პარტიული ადგილი!

ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 60 ათასზე მეტ კომუნისტს, უდიდეს ძალას წარმოადგენენ იმისათვის, რომ წარმატებით გადაჭრან სოფლად ყველა საჭირბოროტო საკითხი. თვითეული პარტიული ორგანიზაცია სათავეში უნდა ჩაუდგეს სოფლის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას, ყოველივე ახლის, მოწინავის დანერგვას, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების — თვალთმაქცობის, საზოგადოებრივი დისციპლინის დარღვევის, მუქთახორობის, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას.

საკოლმეურნეო მინდვრები, მეცხოველეობის ფერმები თავისკენ იწვევენ ყოველ კომუნისტს, ყოველ აქტივისტს. საჭიროა გონივრულად გავანაწილოთ ჩვენი კადრები ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლებისათვის, ცოცხალი აგიტაცია, ლექციები, საუბრები, კედლის და საველე გაზეთები, პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა საშუალება მივმართოთ იმისაკენ, რომ ღირსეული მაჩვენებლებით დავამთავროთ მიმდინარე სამეურნეო წელი.

## საპატიო ჯილდო სკოლაზე მზრუნველობისათვის

ქობულეთი, 31 მარტი. (საქდესი). ქობულეთის რაიონის მშრომელნი დიდად ზრუნავენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის. გასულ წელს კოლმეურნეობებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და სხვა ორგანიზაციებმა ახალი სასკოლო შენობების მშენებლობასა და ძველი შენობების შეკეთებაზე, სახელოსნოებისა და სასპორტო დარბაზების მშენებლობასა და მოწყობაზე, სხვადასხვა სასკოლო ინვენტარის შეძენაზე დახარჯეს 1.100 ათას მანეთზე მეტი ახალი ფულით, ახლა რაიონის ყველა სკოლა გადაყვანილია ერთ ცვლად მეცადინეობაზე. ამან დიდად შეუწყო ხელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

სკოლაზე ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ზრუნვისათვის ქობულეთის რაიონს მესამედ მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და გადაწყდა სამუდამოდ დაუტოვონ რაიონს ეს საპატიო ჯილდო. ამ მოვლენას, აგრეთვე ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დაწყებას მიეძღვნა რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების შეკრება, რომელიც აქ გაიმართა. საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა გულითადად მიულოცა ქობულეთელებს ჯილდო.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვაჭაძე და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. დავითაძე.





## კოლხიდელების სიტყვა

ხობი. (საკ. კორ.). რაიონში სასიმინდე ფართობის ხვნა ძირითადად დამთავრებულია. ნაკვეთებში შეიტანეს 5 ათასამდე ტონა ნაკელი, მინერალური სასუქები და მდინარის შლამი. მზრალის დაფარცხვა და აოშვა წარმატებით მიმდინარეობს.

სოფელ პირველი მაისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა სიმინდის დასათესად გამოყოფილი 256 ჰექტარის ხვნა და საჭირო მანქანა-იარაღების მომზადება.

თესვისათვის კარგად მოემზადა მეექვსე საწარმოო ბრიგადა, რომელსაც ლ. ლომაია ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის წევრი ნ. ლომაია 1 ჰექტარზე კისრულობს 120 ცენტნერი სიმინდის მოყვანას. ბრიგადა კისრულობს შრომითი საჩუქრებით შეხვდეს საქართველოს გასაბჭოების 40 წლისთავს, სულ 42 ჰექტარი დათესოს.

## მექანიზატორთა შრომა

ჩხოროწყუ. („კომუნისტის“ კორ.). მარტის უკანასკნელ დღეებში გამოიდარა. საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღდა სასიმინდე ფართობების მომზადების სამუშაოები. რაიონში წელს სიმინდი 3.120 ჰექტარზე დაითესება. ხვნა დასასრულს უახლოვდება. ჩხოროწყუელებს გადაწყვეტილი აქვთ მაღალმოსავლიან 300 ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 60-70 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, ხოლო მთლიანი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 23 ცენტნერი ნაცვლად შარშან მიღებული 18 ცენტნერისა.

სოფელ ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. ჯიქია) სიმინდი დაითესება 308 ჰექტარზე. ნიადაგი მთლიანად მზად არის. ხვნასა და ფარცხვაში თავი გამოიჩინა ტრაქტორისტმა აკაკი ბერიამ, რომელიც „დტ-54“ მარკის მანქანას შეუფერხებლად ამუშავებს.

წელს რაიონის კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან სიმინდის, ლობიოს და სოიის თესლით. კოლმეურნეობებში დაითესება აბაშის ყვითელი და აჯამეთის თეთრი ჯიშის სიმინდი.

## ახალგაზრდული ენერგიით

სტალინირის რაიონის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობამ, რომელიც ბევრი შესანიშნავი თაოსნობის ინიციატორია, ვალდებულება აიღო წელს სიმინდი დათესოს 66 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდი მოიყვანოს მარცვლად.

თქვენს ახალგაზრდებმა, და საქმესაც შეუდგნენ. კოლმეურნეობის გამგეობამ მათ სასიმინდე ნაკვეთი გამოუყო სოფელ არგვიცის მინდვრებზე. ნიადაგი მზრალად მოხნა ახალგაზრდა მექანიზატორმა ვ. ვახტანგაშვილმა.

ს. ცოტნიაშვილი.





## სოფლის მეურნეობის მუშაკებო!

### მინდვრებსა და პლანტაციებში შრომითი გამარჯვებით შეხვდით საბჭოთა საქართველოს დღესასწაულს!

## თესვას შეუდგნენ

ვანი. (საკ. კორ.). რაიონის მხვნელ-მთესველები ენერგიულად შრომობენ, რათა ახალი წარმატებებით შეხვდნენ საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის ზეიმს. მალე კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღდება სიმინდის თესვა. ეს სამუშაო მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაიწყო.

თესვას პირველი შეუდგა სოფელ ტობანიერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც ორ დღეში 15 ჰექტარი დათესა. სულ დაითესება 320 ჰექტარი სიმინდი. აქედან 30 ჰექტარ მაღალმოსავლიან ნაკვეთზე საშუალოდ ჰექტარზე ვარაუდობენ 60 ცენტნერი სიმინდის მიღებას.

თესვაში დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც ა. მინაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადას გადაწყვეტილი აქვს მთელ ფართობზე საშუალოდ მოიყვანოს 60 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. ასეთივე ვალდებულებები აქვთ ნაკისრი ბრიგადირებს შ. ადეიშვილს და ა. სანიკიძეს. სახელოვანმა მესიმინდეებმა ა. წერეთლიშვილმა, ვ. არველაძემ და ნორა არველაძემ პირობა დადეს თვითეულმა ჰექტარზე მიიღოს 105 ცენტნერი სიმინდი.



## უპატაკებენ სამშობლოს

გურჯაანის რაიონმა წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. 28 მარტისათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 116,9 პროცენტით, რძისა — 118,6 პროცენტით, კვერცხისა — 108,7 პროცენტით.

(საქდესი).



ჰაერში გაზაფხულის სასიამოვნო სურნელება ტრიალებს. მზისაგან გამთბარ მიწას ოხშივარი ადის. ჩქარი ტემპით ჩაღდება საგაზაფხულო სამუშაოები. დათესილია სიმინდის პირველი ჰექტარები.

ზუგდიდის რაიონის ანაკლიის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში დიდ ყურადღებას აქცევენ საკვები ბაზის შექმნას. აქ თავი ისახელა ახალგაზრდა მესიმინდე მ. შენგელიამ (სურათზე ზემოთ). მან დასამუშავებლად გაიპიროვნა 0,5 ჰექტარი და ვალდებულება აიღო ამ ფართობზე 25 ცენტნერი სიმინდი მოიყვანოს.

გალის რაიონის აჩიგვარის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები იბრძვიან 2.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსაყვანად. ჩაის ბუჩქების გასხვლაში თავი გამოიჩინა ვიქტორ რაზყივინმა (სურათზე ქვემოთ), რომელიც ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო მ. ნოკოლოვისა და ი. ჰოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

### ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ლ. ტომპსონი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 1 აპრილს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ლ. ტომპსონი და საუბარი ჰქონდა მასთან ლაოსის საკითხზე.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. ფ. დობრინინი.

## გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ კამჩატკის ოლქის თევზსარეწი ფლოტის მეზღვაურებს, თევზის მრეწველობის საწარმოთა მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს და კოლმეურნე მებადურებს თევზჭერისა და თევზის პროდუქტების გამოშვების 1961 წლის პირველი კვარტალის გეგმის ვადამდე შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში აღნიშნულია, რომ კამჩატკის მშრომელებმა კარგად დაიწყეს შვიდწლედის მესამე წელი და მაღალმაჩვენებლებს მიაღწიეს სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი კამჩატკის ოლქის ხელმძღვანელები იუწყებიან, რომ ნახევარკუნძულის მებადურებმა პირველი კვარტალის გეგმა შეასრულეს 15 მარტს. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით დაჭერილია 76 ათასი ცენტნერით, ანუ 27 პროცენტით მეტი თევზი. ორნახევარი თვის განმავლობაში კამჩატკის მებადურებმა ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის გაგზავნეს სულ 28 ათას 600 ტონა ნავაგა, ქაშაყი, ქამბალა, ქორჭილა და 4 მილიონ ქილაზე მეტი კონსერვი.

კამჩატკის მებადურები აცხადებენ, რომ შვიდწლედის მესამე წელს სამშობლოს მისცემენ სამ მილიონ ცენტნერ თევზს, აქედან 200 ათას ცენტნერს წლიური გეგმის გადამეტებით, და 57 მილიონ ქილა კონსერვს. (საქდესი).

## ჩვენს დიად სამშობლოში

### შეხვედრა საპატიო სტუმართან

მოსკოვი, 31 მარტი, (საქდესი). ცეილონის ფინანსთა მინისტრი, საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი ფ. ბანდარანაიკე დღეს ეწვია საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლს. აქ სტუმრის პატივსაცემად საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირმა გამართა დარბაზობა. ფ. ბანდარანაიკესთან ერთად იყვნენ მისი მეუღლე და თანმხლები პირები, აგრეთვე ცეილონის ელჩი სსრ კავშირში გ. მალალასეკერა.

საპატიო სტუმარს მიესალმა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. გორშკოვი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ფ. ბანდარანაიკემ, რომელმაც განაცხადა:

— მე აქ ჩამოვედი როგორც თქვენი მეგობარი, რათა კიდევ უფრო განვამტკიცო ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული კავშირი. თქვენი ქვეყანა საუკეთესო ნიმუშია, რომელსაც ჩვენ უნდა მივბაძოთ. თქვენ არა თუ განავითარეთ თქვენი ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა, არამედ აგრეთვე შთაუნერგეთ ადამიანებს შესანიშნავი თვისებები, მე თქვენში ვნახე სწორედ ის საზოგადოება, რომლის აშენებითაც ცეილონში ჩვენ ვიამაყებდით.

თავისი სიტყვა ფ. ბანდარანაიკემ დაამთავრა რუსულად.

— თქვენი ხალხი ერთობ გულითადი ხალხია,—თქვა მან. — თქვენს ქვეყანაში თავს ისე ვგრძნობ, როგორც შინ. აღტაცებული ვარ თქვენი ცხოვრებით და მიღწევებით და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ როგორც ეკონომიკის დარგში, ისე განიარაღებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის მიღწევის საქმეში.

## ურთიერთგაგების ვითარებაში

მოსკოვი, 1 აპრილი. (საქდესი). დღეს საგარეო ვაჭრობის სამინისტროში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციათა პლენარული სხდომა ორივე ქვეყანას შორის 1961 წელს საქონელბრუნვის საკითხებზე.

სავაჭრო დელეგაციათა მეთაურებმა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ე ძი-ჯუანმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

მოლაპარაკება მიმდინარეობს ამხანაგური გულითადობისა და ძმური ურთიერთგაგების ვითარებაში.

## საოლქო საბჭოს სესია

სტალინირი. (საკ. კორ.). შედგა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების მე-8 მოწვევის საოლქო საბჭოს პირველი სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

შეიქმნა საოლქო საბჭოს აღმასკომი. საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ვ. ი. გაზაევი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილეებად — დეპუტატები შ. ვ. დოგუზოვი და ს. ნ. დარსაველიძე.

სესიამ შექმნა საოლქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებები და სამმართველოები, დაამტკიცა მათი გამგეები და უფროსები. შეიქმნა აგრეთვე საოლქო საბჭოს მუდმივი კომისიები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. ი. გ. რთველიაშვილმა.

ერთი წლის წინათ თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში სამუშაოდ სიმწიფის ატესტატით მოვიდა ლეილა გურგენიძე. იგი მალე დაეუფლა პროფესიას და მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

ფაბრიკის მოწინავე ახალგაზრდებთან ერთად ლეილა გურგენიძეც ჩაება სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. ახალგაზრდა მკერავმა გოგონამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა პირველი კვარტალის დავალება. მისი გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ პირველი ხარისხისაა,

სურათზე: ლ. გურგენიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ბუდაპეშტს გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია

მოსკოვი, 1 აპრილი. (საქდესი). დღეს მოსკოვიდან ბუდაპეშტს გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია უნგრეთის განთავისუფლების მე-16 წლისთავის დღესასწაულზე. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, პარტიის სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. პ. კირილენკო (დელეგაციის ხელმძღვანელი), სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ნ. შჩეტინინი, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. უსტინოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მოსკოვის 360-ე სკოლის მასწავლებელი ე. მ. ბერდნიკოვა, გორკის ოლქის კოლმეურნეობა „ნაპერწკლის“ თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი პ. მ. დემინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი, მეფოლადე შ. ტ. შუბითიძე.

## საპარლამენტთაშორისო კავშირის სხდომა

მოსკოვი, 1 აპრილი. (საქდესი). დღეს საპარლამენტთაშორისო კავშირის საგაზაფხულო სხდომაზე მოსკოვიდან ჟენევას გაემგზავრა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. პალეცკისი.

## საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის VI პლენუმი

31 მარტს თბილისის რკინიგზელის სახლში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის VI პლენუმი. პლენუმმა განიხილა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობისა და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მორიგი XXX კონფერენციის მოწვევის საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ანდრონიკაშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ხარაძემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრისა და კალინინის რაიკომების პირველმა მდივნებმა ო. ლოლაშვილმა და ე. სალუქვაძემ, კომკავშირის ორჯონიკიძისა და 26 კომისრის რაიკომების პირველმა მდივნებმა რ. მეტრეველმა და ჯ. პაჰკორიამ, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. ხუროშვილმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ, „მთავართბილმშენის“ უფროსმა გ. ქართველიშვილმა, საქართველოს სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსმა მ. იაშვილმა, ქარხანა „ელექტროავტომატის“ კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ა. საყვარელიძემ, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. ელიზარაშვილმა და სხვებმა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. გეგეშიძე.

პლენუმმა დაადგინა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მორიგი XXX კონფერენცია მოწვეულ იქნეს 1961 წლის 16 სექტემბერს.

## „ტიტანის“ გაშვება მარცხით დამთავრდა

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. (საქდესი). შეერთებულმა შტატებმა გუშინ წარუმატებლად სცადეს გაეშვათ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „ტიტანი“ იმ მიზნით, როგორც იუპის საგენტომ გამოაცხადა, რომ დაემყარებინათ სამხედრო რაკეტების გაშვების „მსოფლიო რეკორდი“.

საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ რაკეტა, რომელსაც უნდა გაეფრინა 10 ათასი მილი (16 ათასზე მეტი კილომეტრი), ერთი წუთის შემდეგ ჩავარდა ატლანტის ოკეანეში.

## ბრაზილიის პრეზიდენტის განცხადება

ჰავანა, 1 აპრილი. (საქდესი). ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟანიო კუადროსმა იტალიის გაზეთ „უნიტას“ კორესპონდენტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი მთავრობა დაიცავს ყოველ კანონს, რომელიც ლეგალურს გახდის ბრაზილიის კომუნისტური პარტიის მდგომარეობას, იუწყება პრენსა ლატინას სააგენტო. „ჩემი მთავრობა, — თქვა მან, — არ ჩაახშობს გაფიცვებს და არ გამოსცემს რაიმე დეკრეტს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ“.

კუადროსმა დაადასტურა, რომ ბრაზილია აპირებს მხარი დაუჭიროს აფრიკის განმათავისუფლებელ მოძრაობას და ცნოს სოციალისტური ქვეყნები.

შეეხო რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ბრაზილიას არ შეუძლია უგულებელყოს იმ ქვეყნის არსებობა, რომლის მოსახლეობა 650 მილიონი კაცია და რომელიც დიდი სახელმწიფო ხდება ინდუსტრიალიზაციის სწრაფი პროცესის შედეგად“.

## არ დაუშვათ ატომური ბაზა ოკინავაზე

ტოკიო, 1 აპრილი. (საქდესი). ამერიკული ოკუპაციის მთელი ხნის მანძილზე პირველად რიუკიუს კუნძულების საკანონმდებლო კრების დეპუტატებმა ყველა პარტიის, მათ შორის მმართველი ლიბერალური პარტიის სახელით ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ოკინავაზე აშენდეს ბაზები „მეისის“ ატომური მართული ყუმბარებისათვის.

ეს რეზოლუცია გაეგზავნა აგრეთვე შეერთებული შტატებისა და იაპონიის მთავრობებს.

# ფართოდ გავშალოთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა

## პროფკავშირულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების რესპუბლიკური თათბირი

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს პროფკავშირულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების რესპუბლიკური თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, კულტურის მოღვაწეებმა.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

მოხსენება რესპუბლიკის პროფკავშირულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში მათი როლის ამაღლების შესახებ გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **მ. მ. ლელაშვილმა.**

— ახორციელებენ რა პარტიის XX და XXI ყრილობებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, — თქვა მომხსენებელმა, — საბჭოთა პროფკავშირები დიდ მუშაობას ეწევიან მშრომელთა შრომითი, იდეურ-პოლიტიკური და ესთეტიკური აღზრდისათვის. ამ მუშაობაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. ისინი პროპაგანდას უწევენ პოლიტიკურ, მეცნიერულ, ტექნიკურ ცოდნას, აწყობენ წარმოების მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას, ყოველდღიურად მუშაობენ მშრომელთა კულტურული დასვენების საკითხებზე.

ახლა რესპუბლიკის ქალაქებში, სოფლებსა და დაბებში მუშაობს ორასზე მეტი პროფკავშირული კლუბი, კულტურის სახლი და სასახლე, 250 ბიბლიოთეკა, რომელთა ფონდი მილიონნახევარი წიგნია, არის დაახლოებით 2.000 წითელი კუთხე და 252 კინოდანადგარი.

ეს კარგი ბაზაა იმისათვის, რომ ფართოდ გაიშალოს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა და მოეწყოს მშრომელთა დასვენება. ჩვენში ბევრია პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთა საქმიანობა მაღალ დონეზე მიმდინარეობს. მათ შორის არიან მეტალურგთა ქალაქ რუსთავის და ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კულტურის სასახლეები, მედიცინის მუშაკთა ი. ჭავჭავაძის სახელობის და თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კულტურის სახლები, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, გორის ბამბეულის კომბინატის, პლეხანოვის სახელობის, სადგურ გურჯაანის რკინიგზელთა კლუბები.

ლექციური მუშაობა კარგად არის დაყენებული რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში. 1960 წელს აქ თვალსაჩინო მეცნიერთა, ტექნიკისა და კულტურის მოღვაწეთა ლექციები 15 ათასზე მეტმა კაცმა მოისმინა. სასახლესთან შექმნილია ტექნიკური კულტურის სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ფ. თავაძე), კულტურის სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა).

კარგად არის მოწყობილი კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა სადგურ გურჯაანის რკინიგზელთა კლუბში.

საქართველოს პროფკავშირებს აქვთ დაახლოებით 4.000 მხატვრული თვითმოქმედების წრე, რომლებშიც 70 ათასამდე კაცია გაერთიანებული. მათი ძალებით შარშან გაიმართა 25 ათასზე მეტი სპექტაკლი და კონცერტი, რომლებიც 3 მილიონმა მშრომელმა ნახა.

ბევრმა მხატვრული თვითმოქმედების წრემ და ცალკეულმა შემსრულებლებმა დიდი წარმატება და პოპულარობა მოიპოვეს. ასეთია, მაგალითად, თბილისის რკინიგზელის სახლის, თბილისის ლენინის რაიონის, სამტრედიის რკინიგზელთა სახალხო თეატრები და სხვ. ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც ცნობილია თბილისის რკინიგზელის სახლის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

იმ მიზნით, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა და ამაღლდეს მათი როლი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, საკავშირო პროფსაბჭომ 1961 წლისათვის გამოაცხადა პროფკავშირთა კლუბების, კულტურის სახლებისა და სასახლეების სრულიად საკავშირო დათვალიერება. დათვალიერების მსვლელობაში უნდა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს ამ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას.

მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა კულტურის სახალხო უნივერსიტეტები. ახლა რესპუბლიკაში 30 ასეთი უნივერსიტეტი მუშაობს. ბევრმა მათგანმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მსმენელთა შორის.

კულტურის სახალხო უნივერსიტეტები სამრეწველო ცენტრებს გარდა შექმნილია ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში.

ამავე დროს ზოგიერთ კულტურის უნივერსიტეტში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სასწავლო პროგრამისა და გეგმების შემუშავებას, ლექციების თემატიკას. ზოგჯერ მეცადინეობა დაბალ თეორიულ დონეზე და მეორეხარისხოვან თემებზე წარმოებს. ლექციები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის ილუსტრირებული თვალსაჩინო მეცნიერულ-ტექნიკური კინოფილმებით, დიაპოზიტივებით და ა. შ.

მოხსენებასა და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში დიდი ყურადღება დაეთმო მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, ტექნიკური და ესთეტიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და გაფართოების საკითხებს. ორატორებს მოჰყავდათ დადებითი მაგალითები, აყენებდნენ საკითხს იმის შესახებ, რომ ყველა პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების კუთვნილება გახდეს ეს დადებითი მაგალითები.

გორის ბამბეულის კომბინატის კლუბის მუშაობის პრაქტიკაში მტკიცედ დაინერგა მასობრივი მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის წარმოების მუშაკთა საღამო-შეხვედრები მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებთან, შრომითი დიდების საღამოები, რომლებზეც აჯამებენ საწარმოს, საამქროების, ცვლების, ბრიგადების სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს. ბათუმის მანქანათსაშენებლო ქარხნის კლუბმა მოაწყო საწარმოს კოლექტივის შეხვედრა ქალაქის სხვა ფაბრიკა-ქარხნების ნოვატორებთან, აგრეთვე ქარხნის გამომგონებელთა შეხვედრა თბილისის, ხერსონის, კიროვაკანის, სოხუმის გამომგონებლებთან. ეს ინიციატივა ყოველმხრივი წახალისებისა და გავრცელების ღირსია.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მუშათა და მოსამსახურეთა შორის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების პროპაგანდისათვის თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და სხვა საწარმოთა ტექნიკური კაბინეტები.

მაგრამ ასე როდია საქმე ყველგან. კასპის ცემენტის ქარხნის კულტურის სახლში, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის, ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, ზესტაფონისა და ოჩამჩირის სადგურების კლუბებში სუსტად არის განვითარებული მხატვრული თვითმოქმედება, ცუდად არის დაყენებული საწარმოო და ლექციური პროპაგანდა, იშვიათად იმართება სპექტაკლები და კონცერტები.

სამი წელია არ გამართულა ტყიბულის მექვანახშირეთა ცენტრალური კლუბის გამგეობის ანგარიშგება და არჩევნები. ფაქტიურად გამგეობა დაიშალა, ხოლო კლუბის გამგე, რომელსაც არა ჰყავს დასაყრდენი აქტივი, ბუნებრივია ვერაფერს აკეთებს.

პროფკავშირთა ზოგიერთი კულტურული დაწესებულება კეთილმოწყობილი არ არის, და, რა თქმა უნდა, ცოტაა იქ მისვლის მსურველი.

სერიოზული ნაკლოვანებანია ლექციურ პროპაგანდაში. ლექციების თემატიკა მეტად შეზღუდულია, ზოგიერთი ლექციის შინაარსი არ უკავშირდება კომუნისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს.

როგორც ორატორებმა აღნიშნეს, მუშათა და მოსამსახურეთა კულტურის ამაღლებისა და შემოქმედებითი ნიჭის განვითარების მაგალითია თვითმოქმედი სახალხო თეატრების შექმნა. რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციებს აქვთ სახალხო თეატრები თბილისის რკინიგზელის სახლთან, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონში, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა კულტურის სახლთან და სამტრედიის რკინიგზელთა კლუბთან. თბილისის რკინიგზელის სახლთან არის აგრეთვე თვითმოქმედი სიმფონიური ორკესტრი, საბალეტო სტუდია, რომელსაც საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლ. გვარამაძე ხელმძღვანელობს, თეატრალური სტუდია, რომელსაც რეჟისორი გ. ქართველიშვილი ხელმძღვანელობს. ამ სტუდიაში 160 კაცი მეცადინეობს.

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა კინომოყვარულობა. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში ადრეც გადაიდგა პირველი გაუბედავი ნაბიჯები, მაგრამ ამას ჯეროვნად არ დაუჭირა მხარი კინემატოგრაფისტთა კავშირმა. ამ მიზეზით რუსთავის კულტურის სახლის, თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის, სადგურ ფოთის რკინიგზელთა კლუბის თვითმოქმედი კინოსტუდიები დაიშალა. უნდა გაძლიერდეს დახმარება კინომოყვარულებისადმი, რომ შექმნან ფილმები თავიანთ საწარმოთა ცხოვრებიდან.

წარმატება ჰქონდა თვითმოქმედ მხატვართა ნამუშევრების მეორე რესპუბლიკურ-გამოფენას. 300-მდე ტილო, ქანდაკება, გრაფიკის, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები შერჩეულია თვითმოქმედი მხატვრების სრულიად საკავშირო გამოფენაზე ექსპონირებისათვის, რომელიც მოსკოვში გაიხსნება მიმდინარე წლის ზაფხულში.

უკანასკნელ წლებში ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია მეტ ყურადღებას უთმობს მშრომელთა კინომომსახურებას. მთელი რიგი კლუბები და კულტურის სახლები სისტემატურად აწყობენ თემატურ ფესტივალებს, უჩვენებენ მეცნიერულ-ტექნიკურ და ქრონიკალურ-დოკუმენტურ ფილმებს. მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციისა და კინოგაქირავების სამმართველო პროფკავშირულ კინოდანადგარებს მოძველებული ფილმებით ამარაგებს, აგრეთვე იმის გამო, რომ პროფკავშირთა ზოგიერთი რესპუბლიკური კომიტეტი და საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები სუსტად ხელმძღვანელობენ კინომუშაობას, კინოს შემოსავლის გეგმა 1960 წელს შესრულდა 89 პროცენტით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კულტურის დიდ სახლებსა და კლუბებს პირველ რიგში აძლევდნენ ახალ კინოფილმებს და ამარაგებდნენ საჭირო რეკლამით.

ცნობილია, რომ აღმზრდელობითს და კულტურულ-მასობრივ მუშაობაში დიდი ადგილი ეკუთვნის ბიბლიოთეკებს. ისინი ხელს უწყობენ მშრომელთა კულტურული და ტექნიკური დონის ამაღლებას, პროპაგანდას უწევენ ახალ ლიტერატურას,ავრცელებენ წიგნს მასებში. პროფკავშირულმა ბიბლიოთეკებმა გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა. შეივსო მათი წიგნის ფონდი, გადიდდა მკითხველთა რიცხვი და წიგნის ბრუნვადობა. მუშებსა და მოსამსახურეებს შორის დიდი სიყვარულით სარგებლობს თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ბიბლიოთეკა. ყოველდღე აქედან წიგნი მიაქვს 200-ზე მეტ კაცს. ბიბლიოთეკა სისტემატურად აწყობს მკითხველთა კონფერენციებს, შეხვედრებს მწერლებთან, საბავშვო ლიტერატურულ დილებსა და სხვა კულტურულ ღონისძიებებს. მკითხველთა დარბაზში მოწყობილია თემატური გამოფენები, ახალი წიგნების გამოფენა, იქვეა დიაგრამები სსრ კავშირისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ, ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები. ავტოსარემონტო ქარხნის ბიბლიოთეკას აქვს 60 მოძრავი ბიბლიოთეკა, რომლებსაც აქტივისტები ემსახურებიან. მათ წიგნები მიაქვთ საამქროებში, სახლებში.

სამწუხაროდ, ყველა პროფკავშირული ბიბლიოთეკა ვერ დაიკვეხნის კარგ მუშაობას. მთელ რიგ ბიბლიოთეკებში ძალიან ცოტა მკითხველია, მათ წიგნის ფონდს არ ემატება ახალი ლიტერატურა, მასობრივი ღონისძიებანი იშვიათად ეწყობა. დამაკმაყოფილებელი არ არის ბიბლიოთეკის მუშაკთა კადრების შერჩევის საქმე. სპეციალური უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს ბიბლიოთეკართა 13 პროცენტს.

ორატორებმა ყურადღება გაამახვილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე, რომელმაც დასახა საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების გრანდიოზული პერსპექტივები. ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, აღნიშნეს მათ, დარაზმონ მშრომელთა შემოქმედებითი ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის საბრძოლველად. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ბევრი რამ უნდა გააკეთონ პროფკავშირების კულტურის სახლებმა, კლუბებმა, ბიბლიოთეკებმა, წითელმა კუთხეებმა და კინოდანადგარებმა. ისინი უნდა გახდნენ უმნიშვნელოვანესი ცენტრები პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობისა სოფლის მშრომელთა შორის. საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს კულტურულ-მასობრივი მუშაობა საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების, სოფლის სხვა საწარმოთა მუშებს, მოსამსახურეებსა და სპეციალისტებს შორის.

სოხუმის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის კლუბმა არა მარტო კარგად მოაწყო მშრომელთა დასვენება, არამედ დიდი მუშაობა გაშალა მუშათა სწავლებისათვის, მოწყობილია აგროტექმინიმუმის სპეციალური კურსები, რომელსაც საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მხატვრული თვითმოქმედების წრეებს საზოგადოებრივი მუშაკები ხელმძღვანელობენ. მაგალითად, სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტები უფასოდ ასწავლიან მუსიკას მუშათა ბავშვებს.

კარგად არის მოწყობილი კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა აგრეთვე ოჩხამურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლში და მოქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის კლუბში.

ამავე დროს მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში არ არის პროფკავშირული კულტურული დაწესებულებანი, ამიტომ იქ არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, ყარზახის მეხორცეობა-მერძევეობისა და ვაჩიანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში. ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის კლუბების შენობები არ შეესაბამება დანიშნულებას. ლესიჭინის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში კლუბი მოთავსებულია ბარაკის ტიპის შენობაში, დიდიხანია არ შეუკეთებიათ წინანდლისა და მუკუზნის საბჭოთა მეურნეობების კლუბების შენობები. ახიგვარისა და წალენჯიხის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობების კლუბების შენობები უყურადღებოდ არის მიტოვებული.

კომუნისტურმა პარტიამ პროფკავშირებისა და მათი კულტურული დაწესებულებების წინაშე დასახა საპატიო და პასუხსაგები ამოცანა—აღზარდონ მშრომელები ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. საქართველოს პროფკავშირები და მათი კულტურული დაწესებულებანი მთელ ძალღონეს, ენერგიას მოახმარენ იმას, რომ დარაზმონ მშრომელები შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საბრძოლველად, სკკპ XXII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

კამათში გამოვიდნენ რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლის დირექტორი **ხ. ვაჩნაძე,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **თ. ბადურაშვილი,** სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ა. ხორავა,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე **გ. ფოფხაძე,** ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კინორეჟისორი **ნ. სანიშვილი,** თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე, რკინიგზელის სახალხო თეატრის მსახიობი **ა. ხახვიაშვილი,** თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლის, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კულტურის სასახლის, ქუთაისის ელექტრო-მექანიკური ქარხნის კულტურის სახლის დირექტორები **ა. შავიშვილი, პ. სულაბერიძე** და **ნ. ინანეიშვილი,** ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი **გ. კოკელაძე,** თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის დირექტორი **ე. თავაძე,** საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ნ. რამიშვილი.**

თათბირზე გამოქვეყნდა დადგენილება პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მხატვრული თვითმოქმედების წრეების ხელმძღვანელთა, აგრეთვე ხელოვნების მოღვაწეთა, სულ 135 კაცის საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს **გ. ხ. ძოწენიძემ, გ. ნ. ჯიბლაძემ, მ. ი. კუჭავამ.**

* * *

29 მარტს საღამოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში თბილისის რკინიგზელის სახლის სახალხო თეატრმა პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებს უჩვენა ი. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი".

სპექტაკლს დაესწრნენ **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ხ. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი.**

* * *

30 მარტს საქართველოს პროფსაბჭოში გაიმართა პროფკავშირული კლუბების, კულტურის სახლებისა და სასახლეების დირექტორების, ბიბლიოთეკარებისა და კინოდანადგართა მუშაკების სემინარი. (საქინფორმი).



# მოხუცი მეფრინველე

**უკანასკნელ** წლებში ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში დიდ ყურადღებას აქცევენ მეფრინველეობის განვითარებას. შარშან საკოლმეურნეო ფერმაში გაზრდილი ქათმებიდან სახელმწიფოს მიჰყიდეს ტონობით ხორცი და ათეულ ათასობით ცალი კვერცხი. ფერმაში მომუშავეებად შერჩეული არიან საქმისმოყვარული კოლმეურნეები. ისინი მოვლა-პატრონობას არ აკლებენ წიწილებს და მოკლე დროში აღწევენ სანიმუშოდ გაზრდას, ქათმების სწრაფად მომრავლებას.

მეფრინველეთა შორის ავტორიტეტით და დიდი სიყვარულით სარგებლობს მოხუცი მეფრინველე ალექსანდრე გეწაძე. შარშან მან ენერგიული შრომით 3.500 წიწილა გაზარდა. წელს ეს წარჩინებული მეფრინველე იმისათვის იბრძვის, რომ კოლმეურნეობის ფერმაში გაზარდოს 10.000 წიწილა.

**სურათზე:** მოწინავე მეფრინველე ა. გეწაძე საკოლმეურნეო ფერმის ეზოში.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ვაიმშენებლები

**წულუკიძეში,** ლენინის მოედანზე, ჯერ კიდევ 1956 წელს დაიწყო სამსართულიანი 34-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მას აგებს სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს ქუთაისის სამშენებლო-სარემონტო კანტორა (უფროსი ვ. ლორთქიფანიძე). აგებს, ვამბობთ, თორემ ვაი ასეთ აგებას.

იმის გამო, რომ სახლის მშენებლობისათვის ყოველწლიურად მეტად მცირე თანხებსა და საშენ მასალებს გამოჰყოფდნენ, ორ წელიწადში ერთი სართულის ამოყვანას ძლივს ასწრებდნენ. ასე მოატანა მიმდინარე წლამდე. ამას წინათ, როგორც იქნა, საექსპლოატაციოდ გადასცეს 9 ბინა.

ადამიანები შესახლნენ ახალ ბინებში ისე, რომ არც გათბობის საქმე მოუგვარებიათ და არც წყალგაყვანილობისა. მობინადრენი წყალს ეზოდან ეზიდებიან. მშენებლებმა ზოგიერთ ბინაში გათბობის მოწყობილობის დადგმა-გაყვანაც დაივიწყეს. პარკეტი ისე დააგეს, რომ ორ კვირაში თითქმის ყველა ბინაში ამოცვივდა.

სახლის მთლიანად საექსპლოატაციოდ გადაცემას წლის ბოლოსათვის ჰპირდებიან. მაგრამ ესეც საეჭვოა, ვინაიდან აკლიათ ხის კონსტრუქციები და სხვა საშენი მასალები.

წულუკიძეშივე, სტალინის სახელობის ქუჩაზე შენდება საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცხოვრებელი სახლი. № 4 სამშენებლო ტრესტის მე-5 სამშენებლო სამმართველომ (სამუშაოთა მწარმოებელი ა. სიმონიძე) ერთხანს სწრაფი ტემპი აიღო, მაგრამ უკანასკნელ ხანებში აქაც შეფერხებებია. მშენებლები ცდებიან იმის გამო, რომ დღემდე არ აუწყვიათ ტრანსპორტიორი, ადგილზე არ ჩამოუტანიათ მოძრავი ამწე.

ზემოაღნიშნულმა სამშენებლო სამმართველომ შარშან გორდის სკოლა-ინტერნატში საძინებელი კორპუსის მშენებლობა დაიწყო. მშენებლებმა საძირკველი ამოიყვანეს, შემდეგ კი სამშენებლო ობიექტი დატოვეს და მიზეზად გზის უვარგისობა, ადგილზე ელექტროენერგიის უქონლობა მოიმიზეზეს და მშენებლობის შეჩერება მოითხოვეს.

სამშენებლო ორგანიზაციამ ამის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიმართა. სამინისტრომ, თავის მხრივ, რატომღაც გაიზიარა მშენებლების თხოვნა „იმის შესახებ, რომ გორდის სკოლა-ინტერნატის საძინებელი კორპუსის მშენებლობა ჯერჯერობით შეუძლებელი გახდა..." და სკოლა-ინტერნატში მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად მიზანშეწონილად მიიჩნია 1961 წელს შესრულდეს შენობათა კომპლექსის სასმელი და სამეურნეო წყლით მომარაგების, კანალიზაციის, ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სამუშაოები. წელსვე უნდა აიგოს სამეურნეო კორპუსი საქვაბით და მექანიზებული სამრეცხაოთი, მოეწყოს ცენტრალური გათბობა, დამთავრდეს სასადილოსა და სამზარეულოს რეკონსტრუქცია-გაფართოება...

მიუხედავად იმისა, რომ საძინებელი კორპუსის მშენებლობა განუსაზღვრელი ვადით გადაიდო, სკოლა-ინტერნატის შენობის რეკონსტრუქცია-გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის მიმდინარე წელს მაინც დიდი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი.

ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების ჩატარებისათვის ტექნიკური დოკუმენტაციის სასწრაფოდ დამუშავება მიმდინარე წლის იანვარში დაევალა „ქალაქმშენსახპროექტის" ქუთაისის ფილიალს. თვეები გადის, მაგრამ ტექნიკური დოკუმენტაცია არა ჩანს. ამიტომაც არც სამშენებლო სამუშაოები დაუწყიათ.

არა, ასე არ უნდა ზრუნავდნენ სკოლა-ინტერნატისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე.

**შ. ჯავახაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

## კვარტალის გეგმა 20 დღით ადრე

**ქუთაისი. (საკ. კორ.).** აბურის მექანიზებული ქარხნის კოლექტივი, რომელიც სამტრედიელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, თავგამოდებით შრომობს საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მეაგურეებმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება ვადაზე ოცი დღით ადრე გააწაღდეს და მშენებლებს 4,5 მილიონი ცალი აგური მისცეს.

ქარხნის შრომისმოყვარე კოლექტივი ამაყობს თავისი შეკუერებით. თვიდან თვემდე წარმატებას წარმატებაზე აღწევენ გამომწველები ი. იობიძე და ტ. ხაჟაურიძე, მწყობლები დ. დერეჟა და მ. ხარბედია, კარიერის მუშები, გ. ცქიფურიშვილი და ლ. ურუშვილი, რომლებიც ყოველდღიურად ერთნახევარორ ნორმას იძლევიან.



**სურათზე:** რუსთავის ბინათმშენებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ზოდელავა, რომელმაც სახელი მოიხვეჭა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების ორმაგად და მაღალხარისხოვნად შესრულებით.

ფოტო ა. კულენკოვისა.

## წნორიდან საზღვარგარეთ

**სიღნაღი, (საკ. კორ.).** ორი წელი არც კი გასულა, რაც წნორში მექანიკური ქარხანა ამუშავდა, მაგრამ მის პროდუქციას არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც კარგად იცნობენ. შარშან ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ავღანეთში, ინდონეზიაში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ავტომანქანა „ზილ-585"-ის ჰიდრავლიკური ამწე მექანიზმები გაიგზავნა, წელს გაცილებით მეტი გაიგზავნება.

ქარხნის კოლექტივი სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება. პირველ კვარტალში 135 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა მიეცათ სამშობლოსათვის, ფაქტიურად ორ თვესა და ოც დღეში 155 ათასი მანეთის მექანიზმები დაამზადეს.

# ასე არ შეიქმნება „დიდი ქიმია"

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა სოფლის მეურნეობის მშრომელებს მარცვლეულის წარმოების მკვეთრი გადიდების გრანდიოზული ამოცანები დაუსახა. თუ გვექნება მეტი მარცვალი, ეს იმას ნიშნავს, რომ გვექნება მეტი ხორცი, რძე, რძის ნაწარმი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი... მარცვლეულის მაღალი მოსავლის მისაღებად კი, სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად, საჭიროა მეტი მინერალური სასუქები.

სწორედ ამიტომ იყო, რომ კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ ქიმიური მრეწველობის ზოგიერთი ობიექტი განსაკუთრებული, სწრაფად ასაშენებელი ობიექტების სიაში შეიტანეს. ამ სიაში ჩაწერილია რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაც.

ამ ფრიად საყურადღებო და მეტად საჭირო მშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად განხორციელდა მთელი რიგი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებანი: ყოველ ძირითად ობიექტზე შეიქმნა პარტიული და პროფკავშირული საგუშაგოები. ისინი სიგნალებს იძლევიან სამუშაოთა შეფერხებების შესახებ. საკითხს იმავე დღეს განიხილავენ და სათანადო ზომების მიღების შემდეგ მდგომარეობა სწრაფად სწორდება. მშენებლობის დაჩქარების მიზნით შეფობა იკისრა კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა, რომელიც ქმედითად ეხმარება მშენებლებს.

ჩვენი ქვეყნის ამ საყურადღებო მშენებლობაზე საგუშაგოები შექმნა „**კომუნისტის**" რედაქციამ. საკორესპონდენტო საგუშაგოები რედაქციას აწვდიან წერილებს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მშენებლობა, რა უშლით ხელს მუშაობაში.

რუსთავის მშენებლებმა და ქიმიკოსებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს პლენუმის ამ გადაწყვეტილებას საქმით უპასუხონ, ვადამდე დაამთავრონ ასაშენებელი ობიექტები და მიმდინარე წლიდანვე სოფლის მეურნეობას მისცენ ათეულ ათასობით ტონა მინერალური სასუქი...

...ქარხნის სასხდომო დარბაზში დიდძალ ხალხს მოუყრია თავი. ქიმიკოსებს გარდა აქ არიან მშენებლები, სხვა შემსრულებელი ორგანიზაციები, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმომადგენლები, ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები.

თათბირის მონაწილეებმა გულდასმით განიხილეს წინასწარ შესწავლილი შესაძლებლობანი, გაითვალისწინეს თათბირზე წარმოთქმული ყველა საქმიანი წინადადება და ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება —

**1962 წელს მწყობრში ჩააყენონ შვიდწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებული სიმძლავრეები. წელს სოფლის მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცენ ათობით ათასი ტონა მინერალური სასუქი, ხოლო 1962 წელს — ორჯერ მეტი.**

ჩვენ დავინტერესდით შეგვეტყო, თუ როგორ შეუდგნენ ქიმიკოსები და მშენებლები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, რა ცვლილებები მოხდა ამ უკანასკნელ ხანებში.

და აი უკვე ქიმიური მრეწველობის ობიექტებზე ვართ. ყველგან — ქიმიური პროდუქციის საამქროებში თუ ახალი ობიექტების მშენებლობაზე შემოქმედებითი შრომის ფერხულია გაჩაღებული. იზრდება მინერალური სასუქების წარმოება, ქარხნის ახალმშენებლობებზე სართულებს სართულები ემატება.

მიუხედავად ამისა, ვხედებით არასასიამოვნო ფაქტებსაც. ცხადია, მშენებლობის ტემპი ძველებურს არა ჰგავს, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც არ შეესაბამება დასახულ მიზანს.

ერთობ არახელსაყრელი მდგომარეობაა შექმნილი ქარხნის მთავარ სამშენებლო ობიექტზე — კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობაზე. წელს აქ 4.500 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს [illegible] მედდეს ობიექტები, რომლებიც შეძლებენ გამოუშვან რამდენიმე ათასი ტონა კაპროლაქტამი.

[illegible]

სათანადო პროექტებით მშენებელთა უზრუნველყოფის საკითხში საჭიროა მეტი ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს დამკვეთმა ორგანიზაციამ — აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექციამ (ქარხნის დირექტორი ა. საღარეიშვილი).

რა მდგომარეობაა დანადგარებითა და საშენი მასალებით მშენებელთა უზრუნველყოფის საქმეში?

კაპროლაქტამის საამქროებისათვის საჭიროა შავი ლითონის მილები (57 მმ დიამეტრისა), მაგრამ ისინი ქარხანას საკმაო რაოდენობით არა აქვს. ეს კი იწვევს მშენებლობის ტემპის შენელებას. აკლიათ აგრეთვე უჟანგავი ფოლადი. საჭიროა ზოგიერთი დანადგარისა და მოწყობილობის შევსება. განსაკუთრებით უნდა დაჩქარდეს ცენტრალური თბოპუნქტის, სულფატამონიუმის მისაღები კორპუსის, კაპროლაქტამის მიმღები საამქროსა და სხვა დანადგარების შემოზიდვა.

კაპროლაქტამის წარმოების ობიექტების მშენებლობას, ქარხნის გაფართოების სამუშაოებს ძირითადად აწარმოებს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის „ქიმმრეწვმშენის" სამმართველო (უფროსი კ. უკლება, მთავარი ინჟინერი გ. დოლიძე). სამშენებლო სამმართველომ ამ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა. ახალი, ინდუსტრიული მეთოდების დანერგვით გაზარდა მუშათა შრომის ნაყოფიერება, მაგრამ მის მუშაობაში კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ გასულ წელს ვერ უზრუნველყვეს ახალი ობიექტების ამუშავება, და შარშან სამშობლოს ათასობით ტონა ამიაკი დააკლეს. წლევანდელი გეგმა კი დამატებით ითვალისწინებს ამიაკის სიმძლავრეთა ამოქმედებას. ეს სერიოზული საქმე და დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს მშენებლებს. სამწუხაროდ, როგორც კაპროლაქტამის წარმოების, ისე ამიაკის წარმოების ობიექტების მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ მშენებლები ცუდად მარაგდებიან საშენი მასალებით.

რკინის არმატურა — აი რის ნაკლებობას განიცდიან მშენებლები ყველაზე უფრო. რკინაბეტონის ნაწარმთა კომბინატმა (დირექტორი შ. ლომიძე, მთავარი ინჟინერი მ. ნოზაძე) ვერ უზრუნველყო მშენებლები თავისი პროდუქციით. ამიტომ არმატურას თვითონ მშენებლები ამზადებენ კუსტარულად, რაზეც დიდი დრო და თანხები ეხარჯებათ.

სამართლიანად მიგვაჩნია მშენებელთა პრეტენზიები ხის დამმუშავებელი კომბინატის მიმართ. აი რას მოგვითხრობენ თვით მშენებლები.

ქვისმთლელთა ბრიგადის ხელმძღვანელი **ა. მესროპიანი** ამბობს, რომ არის შემთხვევები, როცა აგური არა გვაქვს. ბრიგადა საათობით ცდება. ზოგჯერ ბეტონის ხსნარი დილის 12 საათზე მოაქვთ, მუშაობას კი დილის 8 საათზე ვიწყებთ და მაღალი კვალიფიკაციის მუშები 4 საათის განმავლობაში მეორეხარისხოვან სამუშაოებზე ვართ დაბანდებული.

ეს არ უნდა ხდებოდეს, ამას კიდევ შეიძლება რაღაც გასამართლებელი მიზეზი ჰქონდეს. მაგრამ განა შეიძლება ჩვენს დროში რკინის ნიჩბებისა და ჩაქუჩების უქონლობის გამო მუშები ცდებოდნენ. — ხომ გახსოვთ, ამხანაგებო! — მიმართა თავის თანამოსაქმეებს მშენებელმა მუშამ **ანზორ კაკულიამ,** — ადგილზე რომ ვერ ვნახეთ ეს უბრალო ხელსაწყოები. საწყობში წავედით, მაგრამ არც იქ აღმოჩნდა. ამაზე რაღას იტყვიან ჩვენი მესვეურები.

ერთ-ერთი საამქროს მშენებლობაზე მუშები უსაქმოდ დგანან.

— რატომ დგახართ?

— მეამწე არ მოვიდა. ამწე არ მუშაობს, აბა რა გავაკეთოთ! — იყო პასუხი.

გამოირკვა, რომ მექანიზაციის სამმართველოს სათანადო რაოდენობით არა ჰყავს მეამწეები. 23 მარტს შვიდ ამწეზე მხოლოდ სამი მეამწე მოვიდა. მეამწეების უყოლობის გამო განსაკუთრებით დიდი მოცდენებია მეორე ცვლაში.

საუბარში ჩაერია მუშა **ი. იანვარაშვილი:** მარტო მეამწეები როდი გვაკლია. დავალებას თუ ვერ ვასრულებთ, ზნირად ეს იმის შედეგია, რომ დიდი რაოდენობით გვაკლია მუშახელი. ნაკისრი ვალდებულება წარმატებით რომ შევასრულოთ, „ქიმმრეწვის" სამმართველომ კიდევ უნდა მიიღოს სამუშაოდ 150 კაცი. ეს ხელმძღვანელებმა კარგად იციან, მაგრამ მუშებს სამუშაოზე ვერ იღებენ იმიტომ, რომ საცხოვრებელი ბინები არა აქვთ. ახლა შენდება ორი საცხოვრებელი სახლი, მაგრამ მშენებლობა ჭიანურდება რკინაბეტონის კონსტრუქციების უქონლობის გამო.

აღნიშნული ორგანიზაციიდან ხის კონსტრუქციებს საჭირო რაოდენობით რომ ვერ ვიღებთ, ამის შედეგად ფერხდება შეფუთვარების და სხვა ობიექტების მშენებლობა.

ცუდად მარაგდებიან მშენებლები კარ-ფანჯრებითაც. აქაც სიტყვა ხის დამმუშავებელ კომბინატზე უნდა შევაჩეროთ.

და განა მარტო ეს?

სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელები, უბნის უფროსები, ბრიგადირები, მუშები ბევრ სხვა ხელისშემშლელ მიზეზსაც ასახელებენ და ამაში ისინი მართალი არიან.

სამშენებლო ობიექტების დათვალიერების შემდეგ საუბარი გვქონდა სამშენებლო ობიექტების უფროსებთან.

— ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა სამშენებლო ობიექტების სრული მექანიზაციის საკითხი, — გვეუბნება „ქიმმრეწვმშენის" სამმართველოს უფროსი კ. უკლება, — განსაკუთრებით გვესაჭიროება მეტი რაოდენობით ავტოამწეები. სად არ დავსვით ეს საკითხი, მაგრამ „მოწყალება" ვერავისგან მივიღეთ. გაფართოებული სამუშაოების საწარმოებლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს აგრეთვე შემდუღებელი აპარატები, ვიბრატორები, ელექტროკაბელი და სხვ.

ბევრ საქმიან და სამართლიან შენიშვნას აკეთებენ მშენებლები რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მიმართ. ამ უკანასკნელს არ აქვს სრული კომპლექსით დამჟანგავი დანადგარი, წყლის გამაცივებელი გამქრევი დანადგარი, საქვაბის მკვებავი ტუმბოები და სხვ. ეს სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს იმას, რომ დადგენილი დროისათვის აამუშაონ 491 კორპუსის პირველი ძაფი. ქარხანას ამჟამად არ გააჩნია აგრეთვე 401 კორპუსისათვის საჭირო საჭირხნი დანადგარის დასამონტაჟებელი სამონტაჟო ნახაზები. იმავე 401 კორპუსის საჭირხნი დანადგარისათვის ლითონის ჩარჩო დაპროექტებულია და დიდი ხანია დასამზადებლად გადაცემულია ქარხნის მექანიკურ სახელოსნოში, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დამზადებული.

რუსთავის ქიმიკოსებმა და მშენებელმემონტაჟეებმა უდავოდ კარგი ინიციატივა გამოიჩინეს—1962 წლის ბოლოსათვის საექსპლოატაციოდ გადასცენ ის სიმძლავრეები, რომლებიც გათვალისწინებულია 1965 წლისათვის და ამით მნიშვნელოვნად გაზარდონ ქიმიური პროდუქციის წარმოება.

ნაკისრი ვალდებულება რეალურია. გამონახულია ახალი რეზერვები, რათა ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას მოკლე დროში მივცეთ რაც შეიძლება მეტი მინერალური სასუქი. ნაკისრი ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია მუშაობის ორგანიზაციაზე, იმის უნარზე, რომ არსებული შესაძლებლობანი სინამდვილედ ვაქციოთ.

**ზ. ჯამასპიშვილი,**
**ზ. მერკვილაძე,**
„კომუნისტის" სპეც. კორ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირი მშვიდობის ინტერესების სადარაჯოზეა

## ა. ა. გრომიკო გამოემგზავრა ნიუ-იორკიდან

**ნიუ-იორკი**, 1 აპრილი. (საკდესი). 31 მარტს საღამოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც მეთაურობდა საბჭოთა კავშირის დელეგაციას გენერალური ასამბლეის XV სესიის მეორე სტადიაში, ნიუ-იორკიდან მოსკოვს გაფრინდა.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან გაფრენის წინ ა. ა. გრომიკომ პრესის წარმომადგენლებს მიმართა შემდეგი განცხადებით:

ვტოვებ რა ნიუ-იორკს, მინდა გამოვთქვა იმედი, რომ XV სესია, რომლის პირველ სტადიაში მონაწილეობას იღებდნენ მთელ რიგ სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურები, დადებითს წვლილს შეიტანს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში და ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებელი ეროვნული არსებობის უფლების განმტკიცებაში.

საბჭოთა მთავრობა იმ აზრისაა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არა მარტო ფასადით უნდა გამოიყურებოდეს როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, არამედ აგრეთვე საქმით იყოს ასეთი ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება საერთაშორისო თანამშრომლობისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების მიზნებს. ამიტომ მე მინდა უწინარეს ყოვლისა ხაზი გავუსვა, რომ მთლიანად ძალაში რჩება საბჭოთა მთავრობის პოზიცია იმ საკითხში, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს ცვლილებებს, რომლებიც მსოფლიოში მოხდა. ყოველი თვე, რომელიც გვაშორებს გასული წლის სექტემბერს, როცა საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი გამოვიდა გენერალური ასამბლეის სხდომაზე და შეიტანა წინადადება — შეიცვალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურა სამართლიან საწყისებზე, იძლევა ახალ დამამტკიცებელ საბუთებს, რომ ეს ამოცანა სულ უფრო მწვავე ხდება და მისი გადაჭრის გადადება მხოლოდ ასუსტებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ზიანს აყენებს მის ავტორიტეტს.

რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს, რომელსაც ეს პოსტი უკავია, შეიქმნა სრულიად შეუწყნარებელი მდგომარეობა, და საბჭოთა მთავრობას, როგორც იგი უკვე აცხადებდა, არ შეუძლია და არ აპირებს შეურიგდეს ასეთ მდგომარეობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადება — შეიცვალოს გენერალური მდივნის ერთპიროვნული ინსტიტუტი კოლექტიური ორგანოთი, რომელშიც შევლენ ამჟამად მსოფლიოში არსებული ქვეყნების სამი ძირითადი ჯგუფის წარმომადგენელნი, გზას გაიკვლევს, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს და სახელმწიფოები, რომლებიც დღეს ჯერ კიდევ მთლიანად არ იზიარებენ ჩვენს წინადადებას ან არკვევენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ წინადადებისადმი, შეიგნებენ, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე განხორციელდეს იგი.

გენერალური ასამბლეის XV სესიის მეორე ნაწილის მსვლელობაში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებს შორის გაიმართა აზრთა გარკვეული გაზიარება საკითხებზე, რომლებიც განიარაღებას ეხება. ამის შესახებ გუშინ პირველ კომიტეტში შესაბამისი განცხადებები გამოვაქვეყნეთ მე, როგორც სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა და ბატონმა სტივენსონმა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა. ამჟამად ზედმეტად მიმაჩნია დამატებით შევეხო ამ თემას. მინდა მხოლოდ ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვა იმას, რომ საბჭოთა მთავრობას, ისე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, საჭიროდ მიაჩნია მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებისათვის, ცივილიზაციის ინტერესებისათვის ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას, რომელიც უკვე დაგროვებულ ყველაზე დამანგრეველ სახეობათა უამრავ იარაღს ყოველ დღე უმატებს რაკეტებისა და ატომგულის ბომბების ახალ და ახალ შტაბელებს, საბჭოთა კავშირი მოითხოვს, რომ სამხედრო მანქანა, რომელიც ამჟამად მთელი ძალით განაგრძობს მუშაობას, მოისპოს.

როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მეორე ნაწილის მუშაობაზე ვლაპარაკობთ, ცხადია, უნდა შევეხოთ კონგოს რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის საკითხს. საბჭოთა დელეგაცია კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ საკითხს გენერალური ასამბლეა იხილავს არსებითად, თუმცა ასეთი განხილვა, როგორც ჩანს, ყველას როდი მოსწონს. საბჭოთა კავშირს სურს მხოლოდ ერთი რამ, რომ კონგოს რესპუბლიკის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ტერიტორიულ მთლიანობა დაიცვათ, როგორც ამას გვავალებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცნობილი გადაწყვეტილებანი.

გენერალური ასამბლეის XV სესია ჩვენი აზრით, კარგად მოიქცა იმ საკითხების განხილვის დროს, რომლებიც ეხება კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას. მუშაობა, რომელსაც ეწევა გენერალური ასამბლეა, ამასთანავე მისი კომიტეტები, გვიჩვენებს, რომ საბჭოთა მთავრობის სახელით მისი მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ დასმული საკითხი სამარცხვინო კოლონიური სისტემის სრული და საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ თვით ცხოვრების მოთხოვნაა. სწორედ ამიტომ აამოძრავა მან ხალხები, რომლებიც თავიანთი განთავისუფლებისათვის იბრძვიან, და უდიდესი ენერგია შემატა მათ.

დასასრულ მინდა ვთქვა, რომ კარგი, ძალიან კარგი იქნება, თუ გენერალური ასამბლეის XV სესიის დამთავრების შემდეგ, რომელმაც, როგორც ცნობილია, უნდა განიხილოს კიდევ ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, შეგვეძლება განვაცხადოთ: დიახ, ამ სესიამ საფუძვლიანი მუშაობა გასწია სახელმწიფოთა ურთიერთობისა და ურთიერთ გაგების გაუმჯობესებისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.



ამერიკის შეერთებული შტატები. ნიუ-იორკის შტატის ცენტრში ქალაქ ოლბანიში გაიმართა ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციის წევრთა დემონსტრაცია. მათ კაპიტოლიუმის შესასვლელთან კიბეებზე გაიარეს პლაკატებით, რომლებიც გამოხატავენ პროტესტს ბინების დაქირავებისას ზანგების დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

### ფასები [illegible] დასავლეთ ბერლინში

**დასავლეთი ბერლინი**, 1 აპრილი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინში სისტემატურად ძვირდება კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტები. სტატისტიკური უწყების მონაცემებიდან ჩანს, რომ 1961 წლის მარტის პირველ ნახევარში კვერცხი 23,1 პროცენტით გაძვირდა გასული წლის მარტის ფასებთან შედარებით. ამ პერიოდის განმავლობაში პურ-ფუნთუშეული გაძვირდა 13,2 პროცენტით, თევზი და თევზეული — 8,3 პროცენტით, ხორცი — 6 პროცენტით.

### დაარღვიეს კუბის საჰაერო სივრცე

**ჰავანა**, 31 მარტი. (საკდესი). კუბის შეიარაღებული ძალების რეაქტიულმა თვითმფრინავმა აიძულა დაშვებულიყო ამერიკის ორმოტორიანი თვითმფრინავი, რომელიც საეჭვოდ დასტრიალებდა თავს ნავთობსახდელ ქარხანას ჰავანის რაიონში. თვითმფრინავში იმყოფებოდა ორი ამერიკელი, რომლებიც ამტკიცებდნენ, ფლორიდიდან ნიკარაგუაში მივდიოდით და გადავწყვიტეთ საწვავი აგვევსო ჰავანაშიო.

### ამერიკაში ინტერესით სწავლობენ რუსულ ენას

**ნიუ-იორკი**, 1 აპრილი. (საკდესი). როგორც ცხადყო ახალმა გამოკვლევამ, რომელიც განათლების სამმართველომ მოაწყო, 1959 წელს 1958 წელთან შედარებით ამერიკის კოლეჯების იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც რუსულ ენას სწავლობენ, 57 პროცენტით გაიზარდა. არც ერთი სხვა ენის შემსწავლელთა რიცხვი არ გაზრდილა ჰსე, — წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი".

რუსული ენის შესწავლის ინტერესი აიხსნება დედამიწის საბჭოთა თანამგზავრების გაშვებითა და სსრ კავშირის სხვა მეცნიერული მიღწევებით.

# მსოფლიო უომოდ! — მოითხოვენ ხალხები

## საერთაშორისო ცხოვრება

# კოლონიურ სისტემას ანგრევს თავისუფლების ქარიშხალი

## აფრიკა იბრძვის

### აფრიკის ხალხთა მესამე კონფერენციის გადაწყვეტილებანი

**კაირო**, 31 მარტი. (საკდესი). აფრიკის ხალხთა მესამე კონფერენციამ, რომელიც აქ გუშინ საღამოს დამთავრდა, მიიღო ვრცელი გადაწყვეტილებანი ნეოკოლონიალიზმის საკითხზე, დაახასიათა რა ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ისრაელი, ინგლისი, ბელგია, საფრანგეთი, ჰოლანდია და სამხრეთ აფრიკის კავშირი, როგორც ძირითადი ქვეყნები, რომლებიც ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკას ახორციელებენ.

კონფერენციამ დაგმო ნეოკოლონიალიზმის ყველა ფორმა და გამოვლინება, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან აფრიკის ახალი ქვეყნების დამოუკიდებლობას, და მოუწოდა ამ ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს გააძლიერონ ბრძოლა კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის გამოვლინების ყველა ფორმის სრული აღმოფხვრისათვის.

კონფერენციის გადაწყვეტილება შეიცავს რეკომენდაციას იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ შეიქმნას სრულიად აფრიკის პროფკავშირთა ფედერაცია, როგორც „ეფექტიანი იარაღი ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში".

ცალკე გადაწყვეტილებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საკითხზე კონფერენციის მონაწილენი მოუწოდებენ გადაისინჯოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს აფრიკის ახალი ქვეყნების სათანადო წარმომადგენლობა უშიშროების საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებში.

კონფერენცია რჩევას იძლევა შეიქმნას სპეციალური რადიოსადგური „თავისუფალი აფრიკა" იმპერიალისტური პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ცალკე გადაწყვეტილებაში აფრიკის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებზე ხაზგასმულია, რომ აფრიკის ახალმა ქვეყნებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ თავიანთი ეკონომიური ჩამორჩენილობის აღმოფხვრისათვის და თავიანთი ეკონომიკის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის, რათა მიიღონ არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიური დამოუკიდებლობაც.

კონფერენციის გადაწყვეტილებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ „აფრიკის დამოუკიდებელმა ქვეყნებმა მტკიცედ უნდა განავითარონ თავიანთი პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურები დემოკრატიული გზით, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ დაჩქარდეს ცხოვრების საჭირო მატერიალური და მორალური პირობების შექმნა აფრიკის ხალხებისათვის".

კონფერენციის გადაწყვეტილება აფრიკის ქვეყნების ერთიანობისა და სოლიდარობის საკითხებზე შეიცავს მთელ რიგ რეკომენდაციებს აფრიკის საერთო კონფერენციებისა და თათბირების, მათ შორის აფრიკის ქვეყნების პროფკავშირთა კონფერენციის მოწვევის შესახებ, რათა შეიქმნას სრულიად აფრიკის პროფკავშირთა ფედერაცია, სრულიად აფრიკის ახალგაზრდობის კონფერენციის, აფრიკის ქვეყნების ქალთა კონფერენციის მოწვევის შესახებ. გადაწყვეტილება შეიცავს აგრეთვე რეკომენდაციას, რომ შეიქმნას აფრიკის საკონსულტაციო ასამბლეა, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყვნენ აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების პარლამენტები, შეიქმნას აფრიკის ქვეყნების შეიარაღებული ძალების სარდლების საბჭო, რომელსაც უნდა დაევალოს ერთობლივი თავდაცვის ორგანიზაციის საკითხების შესწავლა, იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ აფრიკის სრულ განთავისუფლებას უცხოელთა ბატონობისაგან.

## ატომური იარაღის წინააღმდეგ

**კოპენჰაგენი**, 1 აპრილი. (საკდესი). გუშინ დღის მეორე ნახევარში დანიის პატარა ქალაქ ჰოლბეკში დაიწყო საპროტესტო მარში დანიის ტერიტორიაზე ატომური იარაღის განლაგების წინააღმდეგ. მარშში მონაწილეობისათვის ჰოლბეკში დანიის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოვიდა ათასობით კაცი, აგრეთვე ნორვეგიის, შვეციის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელნი.

ხანმოკლე მიტინგის შემდეგ მარშის მონაწილენი დაეწყვნენ კოლონად და 100 კილომეტრიანი გზით გაემართნენ დანიის დედაქალაქისაკენ, სადაც 2 აპრილს დამთავრდება ეს საგულისხმო ლაშქრობა.

მარშის მონაწილეებს კოლონის წინ მიაქვთ დიდი პლაკატი „ჰოლბეკ-კოპენჰაგენი". ბევრ დემონსტრანტს მიაქვს მოწოდებანი: „არ გვინდა ატომური იარაღი!", „არ დავუშვათ ატომური იარაღი დანიის მიწა-წყალზე!".

ლაშქრობის მონაწილეთა კოლონა, რომელიც 1 კილომეტრზეა გაჭიმული, მიდის ჰოლბეკ-როსკილე-კოპენჰაგენის მთავარი გზატკეცილის მაგისტრალით. გზაში მას მიესალმებიან უბრალო დანიელები, რომლებიც მთელი ოჯახობით გამოდიან გზაზე.

## იაპონიის სამინისტროს გადაწყვეტილება

**ტოკიო**, 31 მარტი. (საკდესი). გაზეთ „იომიურის" ცნობით, დღეს საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება შეიტანოს ჩრდილოეთი კორეა იმ სახელმწიფოთა სიაში, რომლებთანაც იაპონიის სავაჭრო ფირმებს ნებადართული აქვთ აწარმოონ კომერციული საქმეები.

# მუხანათობა თუ შეთანხმება

**ლონდონი**, 31 მარტი. (საკდესი). ბელგიის მარიონეტის ჩომბეს ჯარებმა, რომელთაც თეთრკანიანი დაქირავებული აგენტები მეთაურობენ, გააჩაღეს სამხედრო მოქმედება კატანგის ჩრდილოეთ ნაწილში.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება, კატანგის „მთავრობის" შინაგან საქმეთა მინისტრმა" მუნონგომ დღეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ჩომბეს ჯარებმა დაიკავეს ქალაქი მანონო—ცენტრი ბალუბას ტომის მცხოვრებისა, რომლებიც იბრძვიან ჩომბეს რეჟიმის წინააღმდეგ. ოპერაციაში მონაწილეობდა კატანგის ავიაცია.

დამახასიათებელია, რომ დამსჯელი რაზმის შეტევა დაიწყო მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების სარდალი კონგოში გენერალი მაკიუენი 27 მარტს ელიზაბეტვილში მოლაპარაკა ჩომბეს, „ჩემი მოლაპარაკების შედეგად, — განაცხადა მეორე დღეს მაკიუენმა, — იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩომბეს ჯარები არ დაიწყებენ შეტევას ჩრდილოეთ კატანგაში. მე დავიჯერე ყოველივე, რაც ამის თაობაზე მითხრა ჩომბემ".

ჭეშმარიტად, საოცარი მიმნდობელობაა! კატანგის მმართველები სრულიადაც არ მალავდნენ იმ განზრახვას, რომ მოეწყოთ სამხედრო ექსპედიცია მანონოს წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელისუფალთა თვალწინ უცხოელთა თვითმფრინავებს კატანგაში გადაჰყავდათ სამხრეთ-აფრიკის კავშირიდან ჩამოსულ დაქირავებულ აგენტთა ახალ-ახალი რაზმები. იგივე მაკიუენი აღნიშნავდა, რომ მანონოს სამხრეთით თავს იყრიდნენ კატანგის ჯარები და რომ იქ უკვე იმყოფება თეთრკანიან ჯარისკაცთა ასეული. მით უფრო უცნაური იყო, რომ ჩრდილოეთ კატანგიდან გაიყვანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების მთელი კონტინგენტი, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელისუფლებმა განახორციელეს უკანასკნელი კვირის განმავლობაში. ჩომბეს დამსჯელთა რაზმებს შეუქმნეს „მწვანე ქუჩა".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის მოქმედება კატანგაში ყოველ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კვლავ გახდა კოლონიზატორთა და მათ კონგოელ მარიონეტთა დანაშაულის თანამონაწილე.

## მეგობრობის კვირეული

**დელი**, 31 მარტი. (საკდესი). ბიჰარის შტატში დამთავრდა ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის კვირეული, რომელიც მოაწყო ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ. ამ პერიოდში მიმდინარეობდა საბჭოთა წიგნისა და ილუსტრირებულ პერიოდულ გამოცემათა გამოფენა, უჩვენებდნენ საბჭოთა კინოფილმებს.

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების განყოფილების კრებაზე, რომელიც გაიმართა კულტურის კვირეულის გამო, მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მიესალმებიან ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ღონისძიებებს „მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების წმიდა საქმეში". კრების მონაწილეებმა აგრეთვე მადლობა გადაუხადეს სსრ კავშირის მთავრობასა და საბჭოთა ხალხს ინდოეთის სამრეწველო განვითარების საქმეში ნაყოფიერი ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გაწევისათვის.

# კოლონიალისტები კონგოში ეყრდნობიან მოღალატეებს

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე

**ნიუ-იორკი**, 31 მარტი, (საკდესი). 30 მარტს ნაშუადღევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა კონგოს საკითხის განხილვა. პირველი გამოვიდა ბულგარეთის წარმომადგენელი ტარაბანოვი. მან ამხილა ეგრეთწოდებული „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაცია" კონგოში. გადაწყვეტილება კონგოდან ბელგიელი კოლონიზატორების გაყვანის შესახებ, თქვა მან, არ შესრულებულა. პირიქით, თავიანთი აგენტების ჩომბეს, კალონჯის, მობუტუსა და კასავუბუს დახმარებით ბელგიელი კოლონიზატორები ახორციელებენ კონგოს დანაწილების პოლიტიკას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების საფარით ისინი ახორციელებენ პოლიტიკურ მკვლელობას კონგოში, მხეცურად გაუსწორდნენ პრემიერ-მინისტრ ლუმუმბასა და მის თანამებრძოლთ. ბულგარეთის წარმომადგენელმა გადაჭრით დაგმო ეგრეთწოდებული ტანანარივის კონფერენცია როგორც კონგოელი ხალხის მოღალატეთა თავყრილობა და მტკიცედ მოითხოვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ითანამშრომლოს არა ჩომბეს, მობუტუს ტიპის მოღალატეებთან, არამედ კონგოს კანონიერ მთავრობასთან, რომელსაც გიზენგა მეთაურობს. გიზენგას მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნა მან, კონგოს ერთადერთი კანონიერი მთავრობაა, რომელიც ნამდვილად იბრძვის კონგოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის.

შემდეგ გამოვიდნენ მალგაშის რესპუბლიკის, იაპონიის, ლიბერიისა და ირანის წარმომადგენელნი, რომლებმაც ზოგადად ილაპარაკეს იმაზე, რომ საჭიროა კონგოელ ხალხს მიეცეს შესაძლებლობა თვითონ გადაჭრას თავისი საქმეები. მალგაშის რესპუბლიკის წარმომადგენელმა რაკოტომალალამ მოუწოდა თავი შეიკავონ კონგოს საშინაო საქმეებში ჩარევისაგან, მაგრამ არ დაუზუსტებია, თუ ვინ ჰყავდა მხედველობაში. იაპონიის წარმომადგენელმა მაცუდაირამ თავისი მთავრობის „სერიოზული შეშფოთება" გამოთქვა „კონგოში შექმნილი საშიში მდგომარეობის" გამო. ამავე დროს მან მხარი დაუჭირა ეგრეთწოდებულ „ოპერაციას კონგოში" და ეგრეთწოდებული შემარიგებელი კომისიის საქმიანობას. გენერალური ასამბლეის შემდეგი პლენარული სხდომა დანიშნულია 3 აპრილისათვის.

იაპონია. მიუხედავად კუნძულ ნიიძიმას მოსახლეობის და იაპონიის საზოგადოებრიობის პროტესტებისა, ეროვნული თავდაცვის სამმართველო პოლიციისა და მემარჯვენე ორგანიზაციების მექანიზებული რაზმის დახმარებით შეუდგა კუნძულ ნიიძიმაზე მართული ყუმბარების მომავალი ბაზის მისადგომი გზის მშენებლობას.

მთავრობა, სამხედრო ხელისუფალნი და პოლიცია, რომლებიც ისწრაფვიან რადაც უნდა დაუჯდეთ განახორციელონ სამხედრო გეგმები, მხედველობაში არ იღებენ კუნძულის მოსახლეობისა და იაპონიის საზოგადოებრიობის პროტესტებს. მათი ძალადობა ფართო აღშფოთებას იწვევს იაპონიაში.

* * *

**სურათზე**: კუნძულის მცხოვრებთა საპროტესტო დემონსტრაცია.

ფოტო ჯაპან პრესის სააგენტოსი.



## ხელისუფალნი გაზის გრანატებით უპასუხებენ

**რომი**, 1 აპრილი. (საკდესი). 30 კაცი დაჭრილია, 10 დაპატიმრებულია, ერთი — ტყვიით დაჭრილი ჰოსპიტალში გაგზავნეს — ასეთი შედეგი მოჰყვა პოლიციის გუშინდელ შეტაკებებს გაფიცულ მუშებთან პომილიანო-დ' არკოში, იტალიის პატარა ქალაქში, რომელიც ნეაპოლის მახლობლად მდებარეობს.

ამ ქალაქის მანქანათსაშენებელი ქარხნების მუშები უკვე რამდენიმე დღეა ნეაპოლის რაიონის სხვა საწარმოთა მუშებთან ერთად ეწევიან ბრძოლას ხელფასის მომატებისათვის. რათა მიაპყრონ საზოგადოებრიობის ყურადღება თავიანთ მძიმე მდგომარეობას, გუშინ მათ ორი საათით შეწყვიტეს მოძრაობა ნეაპოლ-ნოლა-ბაიანოს რკინიგზის ხაზზე.

ათასზე მეტი მუშა დაწვა რელსებზე და ამრიგად შეაჩერეს მატარებლების მოძრაობა. ხელისუფალთა ცდებმა გაეფანტათ გაფიცულნი, ვერ გამოიღო ნაყოფი, და მაშინ ნეაპოლიდან გაიწვიეს პოლიციის მაშველი ძალები. მუშებთან რამდენიმე საათის შეტაკებების შემდეგ პოლიციამ გაფანტა გაფიცულნი, გამოიყენა მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზის ბომბები. აქ მიღებული ცნობებით, გრანატების აფეთქებასთან ერთად შეტაკების რაიონებიდან მოისმოდა სროლა.

# 73 ბაზა ისპობა — 6627 რჩება

**ვაშინგტონი**, 31 მარტი. (საკდესი) ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა ამერიკის 73 სამხედრო ბაზის ლიკვიდაციის შესახებ.

პენტაგონის განცხადების თანახმად, ეს ბაზები მოისპობა სხვადასხვა ვადებში — ერთი-სამი წლის განმავლობაში. შესამცირებელი ბაზებიდან მხოლოდ 21 ბაზაა საზღვარგარეთ, დანარჩენი კი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზეა. განცხადებიდან ჩანს, რომ თავდაცვის სამინისტრომ ეს ნაბიჯი გადადგა, რათა განავითაროს პრეზიდენტ კენედისაგან მიღებული მითითება — გამოირკვეს მოძველებული ბაზების ლიკვიდაციის შესაძლებლობა.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, რომ ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებს ამერიკაში და საზღვარგარეთ სულ აქვთ 6700 ბაზა.

# ინგლისს სჭირდება ახალი ერა

### გაიხსნა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის XXVII ყრილობა

**ლონდონი**, 31 მარტი. (საკდესი). დღეს სენტ-პანკრასის (ლონდონის რაიონი) რატუშის შენობაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის XXVII ეროვნული ყრილობა. ყრილობა გახსნა პარტიის პრეზიდენტმა და მისმა ერთ-ერთმა უხუცესმა წევრმა უილიამ გალაჰერმა.

ყრილობას ესწრებიან 700-მდე დელეგატი დიდი ბრიტანეთის ყველა კუთხიდან, აგრეთვე 18 ქვეყნის მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან — სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოკავშირე რესპუბლიკების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ლ. თ. ილაჩოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. გ. კორიონოვი.

ყრილობა მიმდინარეობს ლოზუნგით „წინ ერთიან ბრძოლაში მშვიდობისა და სოციალიზმისათვის".

პრეზიდიუმში არიან პარტიის ეროვნული აღმასკომის წევრები უ. გალაჰერი, ჯონ გოლანი, რ. პალმ დატი და სხვები.

ყრილობა გახსნა პარტიის პრეზიდენტმა გალაჰერმა. მან მოუწოდა ყრილობას დასახოს გზა ინგლისელ მშრომელთა შემდგომი ბრძოლისათვის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ და შემდგომი მოძრაობისათვის „ბრიტანული გზით სოციალიზმისაკენ".

პარტიის ვიცე-თავმჯდომარის პალმ დატის წინადადებით, ყრილობის დელეგატებმა ერთი წუთი დუმილით პატივი სცეს პარტიის აღმასკომის განსვენებული თავმჯდომარის ჰარი პოლიტის ხსოვნას.

მთელ რიგ მოხსენებათა, მათ შორის აღმასრულებელი კომიტეტის წარსული ყრილობის შემდგომი პერიოდის შესახებ მოხსენების მოწონების შემდეგ თავმჯდომარემ პოლიტიკური მოხსენებისათვის სიტყვა მისცა პარტიის გენერალურ მდივანს ჯონ გოლანს.

შეეხო რა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის ამოცანებს მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში, მომხსენებელმა თქვა: ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, ის არის, რომ ვიხსნათ კაცობრიობა თერმოატომური კატასტროფისაგან და მივაღწიოთ განიარაღებასა და მშვიდობიან თანაარსებობას.

გოლანმა გადაჭრით გააკრიტიკა კონსერვატიული მთავრობისა და ლეიბორისტული პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელობის პოლიტიკა, რომლებიც იბრძვიან გამალებული ატომური შეიარაღების განგრძობისა და აგრესიულ ბლოკებში მონაწილეობისათვის.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, აღნიშნა გოლანმა, შემდეგია:

ინგლისმა უარი თქვას ატომური იარაღის წარმოებასა და გამოყენებაზე, გააუქმოს ამერიკის ყველა ბაზა ინგლისის მიწა-წყალზე და გამოვიდეს ნატოდან და ყველა სამხედრო კავშირიდან; როგორც პირველი ნაბიჯი სანახევროდ შეამციროს სამხედრო ხარჯები, წინააღმდეგობა გაუწიოს იმის ყოველ ცდას, რომ კვლავ შემოიღონ სამხედრო ბეგარა, შეწყვიტოს სამხედრო ვალდებულებანი საზღვარგარეთ, მხარი დაუჭიროს წინადადებებს საყოველთაო და სრული განიარაღების თაობაზე საერთაშორისო შეთანხმების შესახებ.

შეიცვალოს „ცივი ომი" მშვიდობიანი თანაარსებობით, რაც მიღწეულ უნდა იქნეს კონკრეტულ შეთანხმებათა შესახებ ყველა სადავო საკითხზე სახელმწიფოთა მეთაურების მოლაპარაკების გზით, რომელიც მოეწყობა უმაღლესი დონის სპეციალურ თათბირებზე ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეორგანიზაცია მსოფლიოში ძალთა ახალი თანაფარდობის შესაბამისად.

არავითარი ატომური ხელახალი შეიარაღება და არავითარი საზღვარგარეთული ბაზა დასავლეთ გერმანიისათვის. საზავო ხელშეკრულება ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან განიარაღებისა და ნეიტრალიტეტის საფუძველზე, რაც გზას გაუხსნის მათს დამოუკიდებელ მოლაპარაკებას დემოკრატიული გაერთიანების შესახებ.

შეიცვალოს ნატო და ვარშავის ხელშეკრულება ევროპის ხელშეკრულებით ურთიერთ უშიშროების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

შემდეგ მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ეკონომიური სიძნელეები, რომლებსაც დიდი ბრიტანეთი განიცდის, შედეგია კონსერვატორთა ანტიეროვნული პოლიტიკისა, რომელსაც კატასტროფისაკენ მიჰყავს ინგლისი.

ჩვენ მოგიწოდებთ მოქმედებას, განაცხადა გოლანმა. მუშათა მოძრაობამ უნდა განავითაროს ხალხის ბრძოლა მშრომელთა სოციალური და ეკონომიური ინტერესების დასაცავად, მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ, რათა დაამარცხოს იგი.

შემდეგ გოლანმა აღნიშნა კომპარტიის რიგების ზრდა უკანასკნელ წლებში. თუ 1958 წლის დამდეგს კომპარტიის წევრთა რიცხვი 24.900 კაცს შეადგენდა, ამჟამად მის რიგებში 27.700-ზე მეტი წევრია. იზრდება გაზეთ „დეილი უორკერის" ტირაჟი, რომელიც უკანასკნელ თორმეტ თვეში 2.000 ცალით გადიდდა. გენერალურმა მდივანმა შეიტანა წინადადება, რომ მოეწყოს პარტიის მშენებლობის წელი ლოზუნგით „ავაშენოთ ინგლისში მშვიდობისა და სოციალიზმის პარტია — კომუნისტური პარტია", „ავაშენოთ კომუნისტური პარტია სოციალისტური მუშათა მოძრაობისათვის".

მოგიწოდებთ, თქვა დასასრულ გოლანმა, იბრძოლოთ მშვიდობისათვის ატომური კოშმარის დამთავრებისათვის, მასობრივი მოქმედებისათვის, რომელიც დაამარცხებს კონსერვატორებს და პოლიტიკური პროგრესის ახალ ერას შექმნის.

## კანონიერად ცნეს ნაცისტური პარტია

**ნიუ-იორკი**, 31 მარტი. (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" დღეს იუწყება, რომ ამერიკის ნაცისტური პარტია კანონიერ პოლიტიკურ პარტიად ცნეს ვირჯინიის შტატის ხელისუფლებმა, სადაც არის ამ პარტიის მთავარი ბინა.

ადგილობრივმა მოხელემ, რომელსაც უნდა გაეცა საჭირო დოკუმენტები, ეს გადაწყვეტილება ასე განმარტა: „უწოდო შენ თავს ნაცისტი, სრულიადაც არ არის დანაშაული".

ამერიკის ნაცისტური პარტიის ლიდერმა ჯორჯ როკუელმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტს აცნობა, რომ მის პარტიას ჰყავს 500 წევრი.

## უცხოური იუმორი

### ნათლად მეტყველი დიალოგი

**ბონში**, გამართულ ერთ-ერთ პოლიტიკურ პროცესზე, სადაც მშვიდობის მომხრეებს ასამართლებდნენ, მოსამართლე მიუბრუნდა ბრალდებულს და უთხრა:

— თქვენ მოგესაჯათ 10 წლის პატიმრობა. უფლება გაქვთ განაჩენი გაასაჩივროთ უმაღლეს ინსტანციაში.

— მე დამნაშავე არა ვარ! — უპასუხა ბრალდებულმა, — მოვითხოვ სამართლიანობისა და საღი აზრის განაჩენს.

— ასეთი ინსტანცია ჩემთვის ცნობილი არ არის, — „თანაგრძნობით" ჩაიბურტყუნა მილიტარიზმის მსახურმა.

### შურისძიება...

**ცნობილმა** ინგლისელმა მწერალმა შერიდანმა თავის კომედიაში უპატივცემულოდ მოიხსენია ინგლისის პარლამენტი. ამისათვის, სასამართლოს განაჩენის თანახმად, მას მუხლებზე დაჩოქილს პარლამენტში ბოდიში უნდა მოეხადა დეპუტატების წინაშე. მან მიიღო ეს დამამცირებელი პროცედურა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, შური იძია მახვილგონივრულად: დაიჩოქა, ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო, მტვრიანი მუხლისთავები გაიწმინდა და თქვა:

— ფუჰ! რა მტვრიანია ეს თქვენი პარლამენტი...

### პრემიერის შემდეგ

**მისტერ**, გთხოვთ სცენაზე მობრძანდეთ! მაყურებლები ავტორს თხოულობენ!

— არავითარ შემთხვევაში! მე იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი, რომლებიც ცოცხალი ნებდებიან!



დაგნეულობა



ხელოვნების შემფასებელნი

— ოჰო, რა გემრიელი რაგუ დამზადებულა...

კომუნისტი სპორტი

კვირა, 2 აპრილი.

საერთაშორისო ოსტატი ვ. ბოტვინიკი [illegible]

# მატჩ-რევანშის მერვე პარტია

კარო-კანის დაცვა

მ. ტალი (თეთრები) — მ. ბოტვინიკი (შავები)

[illegible]

24. b5 ეc8 25. c6 კe8 26. ეc2 კg7 27. ეa1 კ:e5 (ერთბაშად აგებს პარტიას. უნდა აღინიშნოს, რომ უკვე შეუძლებელია შავების პოზიციის დაცვა თეთრების მხრივ შამათის მრავალი მუქარისაგან) 28. მ:e5 ე:d4 29. მd7+! ლამაზი დასკვნითი სვლა! მ. ბოტვინიკი დანებდა 29 . . . კ:d7-ს მოჰყვებოდა 30. cd ეd8 31. b6! გარდუვალი შამათით ყველა ვარიანტში. თუ 31 ... ე c4, მაშინ 32. ეc a2 შამათით a8-ზე; ანდა 31. . ე:d7 32. ე a8+! მფ:a8 33 ეc8 X.

მ. ბოტვინიკი



მ. ტალი

ასეთია დასკვნითი პოზიცია, რომელშიც მ. ბოტვინიკი დანებდა.

მ. ტალმა ღირსეული რევანში აიღო წინა დამარცხებისათვის.

## ირანელი მოჭიდავეები თბილისში

[illegible] თეს მოსკოვსა და ხარკოვში, სადაც მათ თავისუფალი სტილით ჭიდაობის მაღალი კლასი, კარგი ფიზიკური მოზადება გამოამჟღავნეს.

ამ ორი მატჩის შემდეგ ირანელები თბილისს ეწვივნენ. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

გუშინ სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობები, სასპორტო ბაზები. დელეგაცია 19 კაცისაგან შედგება.

ირანისა და საქართველოს გუნდების საერთაშორისო მატჩი შედგება 3 აპრილს თბილისის სახელმწიფო ცირკში.

## საკონტროლო მატჩი

სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელი დღეები გვაშორებს საკავშირო ჩემპიონატის, ან როგორც იტყვიან, დიდი ფეხბურთის საზეიმო გახსნას.

ერთ-ერთ უკანასკნელ საკონტროლო შეხვედრას თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე, მოსკოვის „სპარტაკსა“ და ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „დინამოს“ გუშინდელი მატჩი წარმოადგენდა.

მოედანზე ვხედავდით სპარტაკელთა შეწყობილ ანსამბლს, მებრძოლ კოლექტივს, რომლის ყოველი რგოლი რიტმულად მოქმედებდა. აქტიურად იბრძოდნენ ნახევარმცველები ნეტოსა და მასლიონკინის სახით. ისინი ფალინთან და ისაევთან ერთად მანევრირებული თამაშით აქტიურ ბრძოლაში აბამდნენ გარემარბებს ხუსაინოვსა და ილინს, ცენტრფორვარდს — სევიდოვს.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ეს მოხდა 21-ე წუთზე. საპასუხო ბურთი გატანილ იქნა 20 წუთის შემდეგ, რომლის ავტორი იყო მესხი. 45 წუთი ამოიწურა — 1:1.

მეორე ტაიმში ინიციატივა კვლავ სპარტაკელთა მხარეზე იყო. ერთ-ერთი კომბინაცია ხუსაინოვის დარტყმით და გოლით დამთავრდა. მეორე ბურთს მესამე და მეოთხეც მოჰყვა და შეიძლებოდა მეხუთეც, მაგრამ სტუმრებმა ვერ შეძლეს „პენალტის“ გამოყენება. მხოლოდ უკანასკნელ წამებში გარღვევაზე გასულმა ლოლობერიძემ შეძლო მეორე ბურთის გატანა.

ეს საკონტროლო მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

* * *

სურათზე: მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ საკონტროლო მატჩის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.



## ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

31 მარტს რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა საქართველოს ქალთა საჭადრაკო პირველობის მორიგი მეექვსე ტური.

ოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა წარმატებით ჩაატარა ბრძოლა ქ. გოგიავას წინააღმდეგ და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. გ. ბუცხრიკიძემ დაამარცხა ნ. დიატლოვა, ს. ივანოვამ — ი. გედენიძე, თ. ხუგაშვილმა — ზ. კალანდარიშვილი. ვ. ტატარინოვასა და ღლონტის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გუშინ შედგა ჩემპიონატის მორიგი მეშვიდე ტური. კვლავ წარმატებით იბრძვის ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი. ამ დღეს მან დაამარცხა ა. ჩაიკოვსკაია. ი. გედენიძემ მოუგო ნ. ფანქველაშვილს, ქ. გოგიავამ — დ. ღლონტს; ნ. მანველოვა-ლ. ნაჭყებიასა და გ. ბუცხრიკიძე-მ. ნამორაძის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

შვიდი ტურის შემდეგ პირველობის გათამაშების ლიდერია ნ. გაფრინდაშვილი, რომელსაც 7 ქულა აქვს.

დღეს შედგება მერვე ტური.

## მარიამ გუსაკოვას ოქროს დუბლი

მურმანსკი, 31 მარტი. (საკდესი). მეორე ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა კავშირის 43-ე პირველობაზე სათხილამურო რბოლაში, რომელიც აქ მიმდინარეობს, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარიამ გუსაკოვამ. მან გაიმარჯვა 10 კილომეტრ დისტანციაზე.

ვაჟთა შორის 15 კილომეტრზე რბოლაში პირველი იყო ალექსა კუზნეცოვი (გორკის ოლქი).

## რ. ვ. გამყრელიძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი



სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ლია სხდომაზე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად რევაზ ვალერიანის-ძე გამყრელიძემ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ოპტიმალური პროცესების თეორია“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა რ. ვ. გამყრელიძისათვის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

რ. ვ. გამყრელიძე გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსის აკადემიკოს ლ. ს. პონტრიაგინის მოწაფეა. მუშაობს მოსკოვში სამეცნიერო ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტის მათემატიკური განყოფილების გამგედ.

# ფიქრები ფეხბურთზე



მკლეოსნობას, როგორც ცნობილია, „სპორტის დედოფალს“ უწოდებენ. თუ ამ ტერმინოლოგიით ვისარგებლებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ფეხბურთი სპორტის მეფეა. სხვა მეფეებისაგან განსხვავებით ფეხბურთი თავისი ქვეშევრდომების არაჩვეულებრივი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

სულ უფრო ხშირად იმართება საწვრთნელი მატჩები, სულ უფრო მყარი და გარკვეული ხდება გუნდების შემადგენლობა, სულ უფრო მცხუნვარე ხდება საფეხბურთო გაზაფხულის სხივები. და სულ უფრო ახლოვდება დღე, როცა მისი უდიდებულესობა ფეხბურთი ზეიმით გამოვა სტადიონების ზურმუხტოვან მინდვრებზე, რომ უკვე ნოემბრამდე აღარ დაშორდეს თავის ქვეშევრდომებს!

ახლა კი ხუმრობას თავი დავანებოთ: რაც არ უნდა იყოს, ფეხბურთი „მეფე“ და თავისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვს. მაშ მოდით ახლა, ახალი სეზონის დასაწყისში, ვისაუბროთ წლევანდელ საფეხბურთო გაზაფხულზე.

ყოველთვის, სეზონის გახსნაზე რომ ლაპარაკობენ, ჟურნალისტები, მისი უდიდებულესობის ფეხბურთის ეს ჰეროლდები, აცხადებენ: ახლანდელი საფეხბურთო გაზაფხული განსაკუთრებულიაო. და თუმცა ამას ყოველ წელიწადს ამბობენ, ჟურნალისტები მართალი არიან! რადგან ახალ საფეხბურთო სეზონს მართლაც აქვს თავისი რაღაც განსაკუთრებული, განუმეორებელი ნიშნები. და ახლანდელი სეზონიც გამონაკლისი როდია.

რით არის აღსანიშნავი 1961 წლის საფეხბურთო გაზაფხული? როგორც ცნობილია, შარშან „ა“ კლასის გუნდების ფერხული თორმეტიდან ოცდაორამდე გაიზარდა. ამ რეფორმამ გააფთრებული კამათი გამოიწვია, რაც დაცხრა მხოლოდ მაშინ, როცა ნათელი გახდა, რომ ეგრეთწოდებული ახალბედები არავითარ მოწიწებას არა გრძნობენ ეგრეთწოდებული ფავორიტების წინაშე.

თვით ცხოვრებამ დაამტკიცა გათამაშების ახალი სისტემის უპირატესობა. ამიტომ საკვირველი როდია, რომ ეს სისტემა დარჩა ახლანდელ სეზონშიც. მაგრამ ცხოვრებამ გამოავლინა ახალი სისტემის ნაკლოვანებანიც, რომლებიც წელს გამოსწორებულია.

შარშან პირველ ფინალურ ჯგუფში ყოველი ორი ქვეჯგუფიდან სამ-სამი გუნდი შედიოდა. ცოტა იყო! ასეთი წესის ყველაზე დიდი ნაკლი იყო თუნდაც ის ფაქტი, რომ მოსკოვის პოპულარული გუნდები, მარადიული მეტოქეები „დინამო“ და „სპარტაკი“ ერთმანეთს არ შეხვდრიან და გულშემატკივრები ტრადიციულ განცდებს მოკლებულნი დარჩნენ. ახლა ფინალური ჯგუფი გადიდებულია ექვსიდან ათ გუნდამდე.

მეორე სიახლე ის არის, რომ წინასწარ თამაშებში მოპოვებული ქულები გუნდებს გაჰყვება ფინალურ ტურნირშიც. ამით გამორიცხული იქნება ის უსამართლობა, რომელსაც შარშან წააწყდნენ, მაგალითად, ტორპედოელები. „ტორპედო“, რომელმაც წინასწარი თამაშები 31 ქულით დაამთავრა, დასკვნითი ეტაპის დასაწყისში აღმოჩნდა ერთნაირ პირობებში მოსკოვის „დინამოსთან“, რომელმაც წინასწარ ტურნირში 24 ქულა შეაგროვა.

ამრიგად, გუნდები ფინალში ისარგებლებენ იმ სიკეთეებით, რომლებსაც მოიპოვებენ წინასწარ ეტაპზე ან, პირიქით, პასუხს აგებენ „სიყრმის ცოდვებისათვის“. ეს იმას ნიშნავს, რომ ადვილი თამაში არ იქნება, რადგან ყოველი შეხვედრა ყოველ მოწინააღმდეგესთან შეიძლება გადამწყვეტი გახდეს. ფეხბურთის მოყვარულები მხოლოდ მოიგებენ ამით.

უკანასკნელი, მაგრამ არა მეორეხარისხოვანი, სიახლე ის არის, რომ ქულების თანაბარი რაოდენობის დროს გამოყენებული იქნება არა გატანილი და გაშვებული ბურთების შეფარდება, არამედ სხვაობა. ეს ნაკარნახევია არა იმის სურვილით, რომ გაუბრალოვდეს გამონგარიშების პროცესი. საქმე ის არის, რომ წინანდელი პრინციპის დროს გუნდისათვის ხშირად ხელსაყრელი იყო არც ერთი ბურთი არ გაეშვა თავის კარში, ვიდრე გაეტანა სამი ან მეტი ბურთი. მოკლედ რომ ვთქვათ, გაშვებული ბურთის ხვედრითი წონა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე გატანილისა.

რას იწვევდა ასეთი „წოდებრივი უთანასწორობა,“ ადვილი გასაგებია: გუნდები პირველ რიგში ზრუნავდნენ იმაზე, რომ პირველ რიგში მოეგვარებინათ „უშიშროების სამსახური“, რაც საფეხბურთო ბრძოლას ხშირად მოსაწყენს, უხალისოს ხდიდა. გამონგარიშების ახალი სისტემა თავდაცვას ერთგვარად მეორეხარისხოვანს ხდის და ფეხბურთს უბრუნებს სიხალისეს, აქტივობას, შემტევ სულს.

ამასთან შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს, რომ შეფარდების შეცვლას სხვაობით მხურვალედ მიესალმებიან ფეხბურთის ქართველი მოყვარულები, რადგან თბილისის „დინამო“ თავისი აგრესიულობით ამით მხოლოდ მოიგებს (მაგრამ შევნიშნავ, რომ თუ გუნდებს, რომლებიც ცხრილის თავში იქნებიან, ქულების თანაბარი რაოდენობა ექნებათ, ოქროს მედლების ბედს გადაწყვეტს დამატებითი შეხვედრა.)

იქნებ ყველა მკითხველს არ ახსოვდეს, როგორ არიან გუნდები განაწილებული ქვეჯგუფების მიხედვით. პირველ ქვეჯგუფში გამოდიან „ტორპედო“, სკა (როსტოვი), „ლოკომოტივი“, „დინამო“ (თბილისი), „ადმირალტეეცი“, „დაუგავა“, „ავანგარდი“, „ტრუდი“ (ვორონეჟი), „შახტიორი“, „სპარტაკი“ (ვილნიუსი), „ნეფტიანიკი“. მეორე ქვეჯგუფის შემადგენლობაში შედიან: „დინამო“ (კიევი), „დინამო“ (მოსკოვი), ცსკა, „სპარტაკი“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (ერევანი), „ბელარუსი“, „პახტაკორი“, „ზენიტი“, „კაირატი“, „მოლდოვა“, „კალევი“.

ვერავინ ვერ იტყვის, რომელი ქვეჯგუფი უფრო ძლიერია. მაგრამ დიდი წინასწარმეტყველება არ უნდა იმას, თუ ვიტყვით, რომ ერთ-ერთი გუნდი შარშანდელთან შედარებით მეტად გაძლიერებულია და, როგორც ჩანს, ოქროს მედლებს უმიზნებს. მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ ლაპარაკია ცსკა-ს გუნდზე.

მართლაც, არმიელთა მარტო თავდასხმა შეივსო ნაკრების ორი მოთამაშით — ვ. ბუბუკინით და ვ. პონედელნიკით, აგრეთვე ს. ოვივიანით და კ. დორონინით. სხვა ფეხბურთელთა შორის, რომლებითაც გაძლიერებულია ცსკ-ას გუნდი, დავასახელებ მხოლოდ ერთ ოსტატს, რომელიც პირველად უნდა დამესახელებინა,—არმიელთა უფროს მწვრთნელს კონსტანტინე ბესკოვს.

მისვლა გუნდში კ. ბესკოვისა, რომელიც არა მარტო ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე მომხრეა შეტევითი სტრატეგიისა, არამედ მაღალი ტექნიკის მგზნებარე მოყვარული და ფეხბურთის ზედმიწევნით მცოდნეა, ბევრ რამეზე მეტყველებს. უწინარეს ყოვლისა იმაზე, რომ ცსკა-მ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა დაუბრუნდეს ფეხბურთის იმ პრინციპებს, რომლებიც დაკავშირებულია გრიგოლ ფედოტოვის სახელთან. პრინციპებს, რომლებიც პირველ ადგილს უთმობენ დახვეწილ ტექნიკას და შემოქმედებითს, მოქნილს, მაგრამ სულით შემტევ ტაქტიკას. თუ ასეა, ფეხბურთის მოყვარულები მხოლოდ მიესალმებიან ასეთი ტრადიციების აღდგენას.

რადგან ლაპარაკი ჩამოვარდა ცვლილებებზე, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ სხვა გუნდებზეც. ბ. არკადიევის შემდეგ, რომელიც ცსკა-დან წავიდა (და ახლა „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელების მწვრთნელია), თავისი პოსტი დატოვა მოსკოვის „დინამოს“ დიდი ხნის მწვრთნელმა მ. იაკუშინმა. დინამოელებს ახლა ვ. ბლინკოვი წვრთნის. ლენინგრადის „ზენიტის“ მწვრთნელი გახდა ე. ელისეევი, „მოლდოვისა“ — ა. სოკოლოვი, ერევნის „სპარტაკისა“ — გ. ანდრიასიანი.

ცსკა-ს შემდეგ ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მოსკოვის „სპარტაკში“. ალბათ გახსოვთ, რომ შარშან, ვეტერანების წასვლასთან დაკავშირებით, გუნდი „კანს იცვლიდა“. ეს პროცესი არასოდეს არ მიმდინარეობს უმტკივნეულოდ, მით უმეტეს, თუ იგი ხდება „გზადაგზა“, როგორც ეს მოუხდა „სპარტაკს“. თანაც შემცვლელი უნდა ეშოვნათ ისეთი მოთამაშეებისათვის, როგორიც არიან სიმონიანი, სალნიკოვი...

ამჟამად „სპარტაკმა“, იტყობა გადაწყვიტა დაკომპლექტების პრობლემა. ყოველ შემთხვევაში იმის გამო, რომ გუნდში მივიდნენ დამცველი ვ. ტიკარევი („ნეფტიანიკიდან“), თავდამსხმელები ი. ფალინი („ტორპედოდან“) და უკვე ხსენებული გ. ხუსაინოვი (რომელიც ფეხბურთის კუიბიშეველმა მოყვარულებმა გულისტკივილით გაუშვეს), „სპარტაკი“ უდავოდ გაძლიერდა. თუ დავძენთ, რომ კოლექტივში დაბრუნდა ბ. ტატუშინი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სპარტაკელებს დიდი შანსები აქვთ უფრო წარმატებით გამოვიდნენ, ვიდრე გასულ სეზონში.

წინასწარ ძნელია თქმა, როგორ წავა ბრძოლა ქვეჯგუფებში. მაგრამ რაც შეეხება მწვრთნელთა ტაქტიკურ განწყობილებას, აქ შეიძლება ზოგიერთი რამ წინასწარ ვთქვათ.

მსოფლიოს უკანასკნელმა ჩემპიონატმა, რომელიც შვეციაში მიმდინარეობდა, ერთხელ კიდევ ცხადყო უმნიშვნელოვანესი როლი ტექნიკისა, რომელიც გვიჩვენეს განსაკუთრებით ბრაზილიელებმა. ეს კარგია. მაგრამ იმავე ჩემპიონატმა (და უწინარეს ყოვლისა იმავე ბრაზილიელებმა) ბიძგი მისცა ყოველგვარ თავდაცვითს ტენდენციებს, ამასთან მათი მომხრეები, როგორც წესი, იმოწმებდნენ სქემას 4+2+4. მართალია, რამდენიმე წლის შემდეგ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ფეოლამ განაცხადა, რომ იგი არ იცნობს ასეთ თავდაცვითს სისტემას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: სწორედ შვეციის ტურნირის შემდეგ დაიწყო ტაქტიკური აღრევა.

მაგრამ შარშან დაისახა მოდისაგან ჩამოშორება და თავი იჩინა უფრო მომწიფებულმა და ღრმა დამოკიდებულებამ ტაქტიკური ამოცანებისადმი. მართალია, ზოგიერთი გუნდი, როგორც, მაგალითად, „კაირატი“, კვლავ უჭერდა მხარს თავდაცვითს სტილს, მაგრამ ამას აკეთებდა არა რწმენით, არამედ უბრალოდ, პრინციპის მიხედვით. „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“, ყოველ შემთხვევაში გუნდები, რომლებმაც ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწიეს, „ტორპედო“, კიევის და თბილისის დინამოელები, სკა (როსტოვი) აქტიურ, შემტევ ტენდენციებს ემხრობოდნენ.

დამახასიათებელია, რომ ამ ზამთარს სპორტულ პრესაში მხურვალედ განიხილავდნენ ტაქტიკურ პრობლემებს, ამასთან ავტორიტეტების უმრავლესობა, მათ შორის ცნობილი მწვრთნელები ნ. დემენტიევი, კ. ბესკოვი, გ. კაჩალინი გადაჭრით იცავდნენ შემტევ ფეხბურთს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ საეჭვო შეიქნა „საფუძველთა საფუძველი“ — პერსონალური მეურვეობა. „ტორპედოს“ მწვრთნელმა ვ. მასლოვმა მეტად დამაჯერებლად ცხადყო, რომ პერსონალური მეურვეობის ბრმად, [illegible] რებლად გამოყენება თამაშს არათუ ნაკლებ მიმზიდველს ხდის სანახობითი თვალსაზრისით, არამედ კიდევაც ამცირებს გუნდის შესაძლებლობებს.

მკითხველი იტყვის: წერილი მთავრდება, ავტორს კი თბილისის „დინამოზე“ თითქმის არაფერი არ უთქვამსო. არა, მე არ მინდა დავემსგავსო პედანტ მასწავლებელს სატირული ლექსიდან, რომელიც „სულ შრომასა და პატიოსნებაზე ლაპარაკობს, სიყვარულზე კი ხმას არ იღებს“. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ფეხბურთის ქართველმა მოყვარულებმა თავიანთ გუნდზე იციან უფრო მეტი, ვიდრე ვინმე სხვამ. შემიძლია მხოლოდ გულწრფელად ვთქვა, რომ ვარ მოსკოვში ამ გუნდის ერთ-ერთი გულშემატკივარი მრავალთა შორის, მწამს, რომ ახალ სეზონში თბილისელები არ შეანელებენ შეტევითს მგზნებარებას, არ უღალატებენ თავიანთ მწვავე კომბინაციურ სტილს, უფრო სრულყოფილად იმოქმედებენ თავდაცვაში, უფრო ოსტატურად გადავლენ ხოლმე პერსონალური დაცვიდან კომბინირებულზე, რომელშიც დარჩება პერსონალური მეურვეობის ზოგიერთი ელემენტი. დინამოელებმა, ჩემი აზრით, არ უნდა დაივიწყონ, რომ ტემპერამენტი ფეხბურთის დენთია და ეს დენთი მშრალად უნდა იქონიონ. ყოველ შემთხვევაში გუნდი არ უნდა თამაშობდეს განწყობილებისამებრ.

ფეხბურთთან დაკავშირებული პრობლემები აურაცხელია, ამიტომ ვამთავრებ ამ რამდენადმე გაჭიანურებულ კონფერანსს სეზონის დასაწყისის წინ. ასე რომ ცოტაც მოითმინეთ, და სპორტის მეფე — ფეხბურთი მოგიწვევთ სეზონის გახსნის ზეიმზე. და რადგან ეს იქნება იმათი დღესასწაული, ვისაც უყვარს ეს ჭკვიანური, ცოცხალი და ემოციური თამაში, მინდა მოგმართოთ მისალმებით: მოგილოცავთ ფეხბურთს, მეგობრებო!..

ვ. ვასილიევი.



## „ქართლის ჩირაღდნები“

[illegible]

## სახალხო თეატრების სპექტაკლები

### ორი პრემიერა

[illegible] გულთბილად მიიღეს პირველი პრემიერა — დ. კლდიაშვილის პიესა „დამნაშავე“. სახალხო თეატრის ახალგაზრდა კოლექტივის შემოქმედებითი ზრდის დამადასტურებელი იყო ო. რაზმაძისა და ნ. მახარაშვილის კომედიის „პირველი მერცხლების“ დადგმა. პიესა დაწერილია საკოლმეურნეო ცხოვრების აქტუალურ თემაზე. სპექტაკლის წარმატებას ხელი შეუწყო მხატვარ ი. რუბინშტეინის გაფორმებამ და მ. დავითაშვილის მიერ დაწერილმა მუსიკამ.

დ. ჟიჟილეიშვილი.

* * *

### „უმადური“

ურჯაანი. (საქ. კორ.). ველისციხის სახალხო თეატრმა, რომელიც ახლახან შეიქმნა, მაყურებელს უჩვენა ს. მთვარაძის პიესა „უმადური“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ა. ყაზაროვმა, მხატვრულად გააფორმა მ. არბოლაშვილმა. მუსიკალური მონტაჟი ეკუთვნის ს. ბახლაშვილს.

როლებს ასრულებენ მ. მესხი, ვ. მეპურიშვილი, მ. გომშიაშვილი, ლ. ჯაშიაშვილი და სხვები.

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა.

## ლიტერატურა და ხელოვნება

## ოდისეი დიმიტრიადი: გულში ჩასწვდათ ქართული მუსიკა

30 მარტს ოდისეი დიმიტრიადი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან თბილისში დაბრუნდა. „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა:

— გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამი კვირა დავყავი, შვიდი მარტიდან ოცდარვა მარტამდე. ბერლინი, ბრესლაუ, ლაიპციგი, დრეზდენი და კვლავ ბერლინი — ასეთი იყო ჩემი მარშრუტი. სულ ხუთი კონცერტი გავმართე. ამ ქალაქებში შესანიშნავი სიმფონიური ორკესტრებია.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო ის გულწრფელი, აღტაცებული დამოკიდებულება, რომელსაც გერმანელი მსმენელი იჩენდა ქართული მუსიკის მიმართ. ლაიპციგში, ამ ქალაქის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ფირზე ჩავწერეთ ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ შესავალი, რომელსაც ხშირად გადასცემენ რადიოთი.

ბოლო კონცერტი დრეზდენში გავმართე. ამ კონცერტზე შესრულებული იყო ბერლიოზის „ფანტასტიკური სიმფონია“, რიმსკი-კორსაკოვის „შეჰერეზადა“ და რევაზ ლაღიძის „საჭიდაო“, რომელიც გერმანიაში გამართულ ხუთივე კონცერტზე შევასრულე. „საჭიდაო“ დრეზდენში ფირზეც ჩაწერეს.

ერთი სიტყვით, გერმანელებს ნამდვილად გულში ჩასწვდათ ქართული მუსიკა.

ამჟამად ჩემი მთავარი საზრუნავია ორი ახალი ქართული ოპერა, რომლებსაც დასადგმელად ამზადებს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. შალვა მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენას“ მსმენელი-მაყურებელი ნახავს და მოისმენს მაისში — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავის ზეიმის დღეებში, ხოლო ოთარ თაქთაქიშვილის „მინდიას“—ივნისში, ვაჟა-ფშაველას დაბადების მეასე წლისთავთან დაკავშირებით.

ჩვენი ინტერვიუ

## მკითხველო, გეცინება?

— რამ ჩამოგტირის ცხვირპირი? პანაშვიდზე იყავი?!
— არა... ჩვენს მოჭიდავეებს სარმები დაავიწყდათ.

* * *

— წუნეთელო, რა მოგცე მაგ ბატკანში?
— სტადიონის აბონემენტი მამე.

* * *

— მალხაზ! მიპასუხე კითხვაზე: ოცდაოთხს რომ თორმეტი გამოვაკლოთ დარჩება...
— ტალი, მასწავლებელო.

* * *

— ილიკო სუხიშვილი რატომ აღარ ცეკვავს სცენაზე?
— მესტები ბერილ გრეის აჩუქა, მასრები ჰარი ბელაფონტეს მისცა, ლეკვერთხები სიმონა სინიორეს უსახსოვრა, ახალუხი ივ მონტანმა წაართვა, ქუდი — ჯეიმს ჰიგნეიმ, თეთრი ჩოხა ვან კლიბერნს ჩააცვა, ხოლო იმა სუმაკმა ქამარ-ხანჯალი აჰყარა... რაღა ეცეკვება?!

ქართლოს კასრაძე.

## რამდენია სსრ კავშირში 100 წლის მოხუცი

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სამეცნიერო ჟურნალ „ვესტნიკ სტატისტიკიში“ მოყვანილია საინტერესო ცნობები იმ პირთა რიცხვის შესახებ, რომლებმაც მიაღწიეს 100 და მეტი წლის ასაკს.

1959 წლის 15 იანვრისათვის სსრ კავშირში 100 და მეტი წლის ასაკისა იყო სულ 21.708 კაცი, აქედან 5.432 მამაკაცი და 16.276 ქალი. 100-104 წლისა აღრიცხულია 13.350 კაცი, 105-109 წლისა — 4.183, 110-114 წლისა — 1.384, 115-119 წლისა — 532, 120 და მეტი წლისა — 592 კაცი.

საინტერესოა 100 წლისა და უფრო მეტი ხნის ადამიანთა რაოდენობა რესპუბლიკებისა და მხარეების მიხედვით. რუსეთის ფედერაციაში დღეგრძელ ადამიანთა რიცხვის მხრივ პირველობა ეკუთვნით ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთისა და დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკებს. იქ ყოველ 100.000 მოსახლეზე მოდის 70-დან 61-მდე 100 წლისა და მეტი ხნის მცხოვრები.

უკრაინის სს რესპუბლიკაში 100 ათას მცხოვრებზე მოდის 6 კაცი, რომლებმაც იცოცხლეს საუკუნე და მეტი, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 13, უზბეკეთში — 10, ყაზახეთში — 10, ლიტვაში — 17, მოლდავეთში — 6, ლატვიაში — 3, ყირგიზეთში — 11, ტაჯიკეთში — 11, თურქმენეთში —8, ესტონეთში — 1.

დღეგრძელობის ჩემპიონები არიან კავკასიის მცხოვრებნი. აზერბაიჯანში ყოველ 100.000 მოსახლეზე მოდის 84 კაცი, რომელთა ასაკი აღინიშნება სამნიშნიანი ციფრით, ხოლო მთიანი ყარაბახის ავტონომიურ ოლქში — 144. ეს ოლქი ამ მხრივ საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონია. საქართველოში ას ათას მცხოვრებიდან 100 და მეტი წელი იცოცხლა 51 კაცმა, ხოლო სომხეთში — 33 კაცმა.

## ვეფხვს „ამურს“ ოპერაცია გაუკეთეს

პაციენტი ღრიალებდა. მას ვერ გაეგო რა უნდოდათ მისგან ამ თეთრხალათიან ადამიანებს. ისინი კი მისი სიცოცხლისათვის იბრძოდნენ...

უსურიის ვეფხვი „ამური“ კალინინგრადის ზოოპარკში ორი წლის წინათ მოხვდა. ჩანის ქვედა ნაწილში მას პატარა ჭრილობა აღმოაჩნდა. მაშინ ამას ყურადღება არ მიაქციეს, რადგან „ამური“ კარგად გრძნობდა თავს, ხალისიანი იყო, და ზოოპარკში გადაწყვიტეს, ჭრილობა საშიში არ არისო. რამდენიმე დღის წინათ ძველი ჭრილობა გაიხსნა. გასინჯვით გამოირკვა, რომ ვეფხვს ქვედა ჩანის ანთება ჰქონდა. საჭირო იყო სასწრაფო ქირურგიული ჩარევა.

ზოოპარკის დირექციამ მიმართა კალინინგრადის ოლქის მთავარ სტომატოლოგს ე. მელცს, საოლქო საავადმყოფოს ქირურგს ა. პიროგოვს, ნარკოტიზატორს ს. მაურინს და თერაპევტ მ. დოლგოვას და სთხოვა ოპერაცია გაეკეთებინათ „ამურისათვის“. ექიმები დათანხმდნენ. მაგრამ როგორ მისდგომოდნენ „ავადმყოფს“, რომელიც თათის დარტყმით ხარს აქცევს? გარდა ამისა, მედიცინაში არ არის ნაჩვენები ნარკოზის ნორმა, რომელიც შეიძლება მიეცეს უსურიის გიგანტებს. ექიმებმა გადაწყვიტეს შეკოჭილი მტაცებლისათვის გაეკეთებინათ დასაძინებელი პრეპარატის — ამინაზინის ექვსმაგი დოზა. მძლავრი ორგანიზმი დიდხანს უძალიანდებოდა, მაგრამ ბოლოს „ამურმა“ თათებზე დადო თავი და დაიძინა. მაშინ ექიმები შეუდგნენ ოპერაციას. ჯერ ამოუღეს კბილი. ოცდაათი წუთი დასჭირდა მხოლოდ იმას, რომ შეერყიათ და ამოეძროთ უშველებელი ეშვი. კიდევ სამ საათს გაგრძელდა ოპერაცია ვეფხვის ხახაში. ბოლოს, სისხლი შეაჩერეს. ჭრილობა გაწმინდეს და დახურეს. ასე დამთავრდა ეს არაჩვეულებრივი ოპერაცია. „ამურს“ თითქმის მთელი დღე და ღამე ეძინა. ახლა იგი კარგად არის.

— ათასზე მეტი ოპერაცია მაქვს გაკეთებული, — ამბობს ქირურგი ა. ი. პიროგოვი, — მაგრამ არა მგონია, რომ კიდევ როდისმე მქონდეს საქმე ასეთ არაჩვეულებრივ პაციენტთან.

ვ. შანინი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ტელევიზია

2 აპრილი

ტელევიზია: 18.00—გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.30—კინონარკვევი, 19.00—სატელევიზიო ნარკვევი „მომავლისათვის მებრძოლნი“, 19.30 — კონცერტი, 20.10 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.40 — ქართული კინოფილმების ფესტივალი, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი. მხატვრული ფილმი „ჯურღაის ფარი“.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-78-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-48, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 05496 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.